სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 13 (4552) • 14 ივნისი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

გაუმარჯოს არდადეგებს! ბედნიერ დასვენებას გისურვებთ!

„მერმისის“ აწმყო და მომავალი

„დაუჯერებელი“ კოლეჯის დაუჯერებელი წარმატებები

- **დასაქმება — 80-90%**
- **300 პარტნიორი კომპანია**
- **კონკურსი ყველა პროფესიაზე**
- **საერთაშორისო პროექტები**
- **სტუმრად — აშშ-სა და იტალიის ელჩები**

რაოდენობა ხარისხს განა განაპირობებს? ერთი ხარისხიანი მრავალ უხარისხოს ჯობს. აგერ, საზოგადოებრივი კოლეჯი **„მერმისი“** სხვადასხვა დროს რეორგანიზებული და ლიკვიდირებული **45 პროფესიული სასწავლებლის** სამართალმემკვიდრეა. ამ სახით 2011 წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ მოკლე ხანში თითქმის დაუჯერებელ წარმატებებს მიაღწია.

ზემოთქმულის უპირველესი და უტყუარი დასტური: **45-ვე (!) პროფესიულ საგანმანათლებლო**

პროგრამაზე სტუდენტებს საკონკურსო შერჩევის წესით იღებენ! არადა, ამ ტიპის სასწავლებლების უდიდესი უმეტესობა სწორედ კონტინგენტის სიმწირეზე ვიშვიშებს.

რამ განაპირობა ყმაწვილების მიჯარება „მერმისში?“

ცხადია, თავი და თავი, დასაქმებაა. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: **მზარეულის, პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის, ფილამწყობის, დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის კურსდამთავრებულთა** დასაქმების მაჩვენებელი – 95-98%-ია. ზოგადად კი – 80.

ქვეყანაში ლამის ეკონომიკური პროსტრაციაა. მაშ, როგორღა ახერხებს ამ დაუჯერებელს კოლეჯი? სწორედ, ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თადარიგის დროულად დაჭერითა და პერსპექტივის გონივრული გათვლით.

კოლეჯს მუდმივი საქმიანი ურთიერთობა აქვს პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათ ინტერესებს უცილობლად ითვალისწინებს. **ასე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 300-ზე მეტ კერძო და სახელმწიფო კომპანიასთან. მათგან გამორჩეულები არიან: შპს-ები – „თეგეტა მოტორსი“, „მათე მოტორსი“, „ახალი ქსელები“, „ელსელმა“, „კავკასუს ონლაინი“, „სამოსელი პირველი“, „ნეოტეკი“, „ქართული სამოსი“, „ეტალონი“, „საბა“, „ივერია“, „იფანი“,** რესტორნები: **„ბაბილო“, „კრუიზი“** და სხვა.

ცხადია, დამსაქმებლებს კვალიფიციური კადრები სჭირდებათ. ამას კი **„მერმისის“** გამოცდილი და მცოდნე, მონდომებელი პედკოლექტივი და მდიდარი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი, მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განაპირობებს.

სამკერვალო ნაწარმის, პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის, მემინანქრის, დეკორატიული და გამოყენებითი ტექნოლოგიების მხარდამჭერის, თექის ოსტატის, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების, სავალი ნაწილის ტექნიკოსის, ძრავის შემკეთებლის, კომპიუტერული გრაფიკოსის, გიდის, ფილამწყობის, მზარეულის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის, რაოდენობრივის, ოფისის მენეჯერის, ძრავის შემკეთებლის, ტუროპერატორის, ინტერნეტ ტექნოლოგის (ვებ-სპეციალისტი), დურგლის, ხის მხატვრული დამუშავების, კომუნიკაციის, მეწარმის, სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის, საზეინკლო საქმის, სტილისტის, ბუღალტრის სპეციალისტებს ამზადებენ: **ლია მიქელთაძე, მაია გრიგალაშვილი, იამზე ნოზაძე, ეთერ ბერძენიშვილი, იზოლდა ოჩიგავა, უშანგი ტოტოსაშვილი, ლია ნოზაძე, ციცინო სტურუა, მამუკა ხანთაძე, მანანა კუპატაძე, ეკა შავდია, ანა სააკაძე, ლიანა კერვალიშვილი, ზაზა მამნიაშვილი, ოლღა რუხაძე, ნინო ხოხობაშვილი, ეთერ მიშელაძე, ზურაბ ქერაშვილი, ივანე ჩუტკერაშვილი, მანანა კაციტაშვილი, ქეთევან ზაალიშვილი, ზურაბ კაჭარავა, მანანა წერეთელი, გიორგი ლობჟანიძე, ლამარა მელიქაძე, ქეთევან უზუნაშვილი, მაკა მჭედლიშვილი, თამარ ბერძენიშვილი, თამაზ ისაკაძე, მურმან მირცხულავა, ვარა გულიკაშვილი, ნანა თვალთვაძე, მანანა შეწირული, მანანა ალადაშვილი, ალექსანდრე კეკენაძე, ლევან ზედელაშვილი, თამაზ გვიშიანი, არსენ საჩალელი, ნარგიზა კობახიძე, თეა ფერაძე, თამარ ლაღიაშვილი, კონსტანტინე აქუბარდია, ეკატერინე მჭედლიშვილი, ვერა ჯღლამაძე, მარიეტა ჩანკაშვილი, ეთერ ნადარეიშვილი, ნათელა დარსაძე, სულიკო გაგნიძე, ლია ამნიაშვილი, დარეჯან კვატაშიძე, თინათინ ნარიმანიძე, თამარ ლაგვილავა.**

ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებს, მასალათმცოდნეობას, სამოქალაქო განათლებასა და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას ასწავლიან სტუდენტებს: **მარიამ კვერღელაძე, ირინე ბაღიშვილი, თამარ შავიძე, ლიანა ბახტაძე, ხათუნა მგელაძე** და **გიული ახალკაცი**.

სტუდენტთა მომზადების ხარისხის ასამაღლებლად, რის აუცილებელი პირობაც სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მასწავლებელთა კვალიფიკაციაა, **„მერმისი“** საერთაშორისო კონტაქტებსაც ეძიებს

და ჰპოვებს: USAID/CAVCASUS „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივასთან“ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, სამკერვალო ნაწარმის, საკერავი მანქანების მექანიკოსისა და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალობების სასწავლო სახელოსნოები თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღიჭურვა; ამერიკელმა სპეციალისტებმა პრაქტიკულად მოამზადეს შესატყვისი პროფესიების მასწავლებლები; მასწავლებელთა მონაწილეობით დაიწერა სახელმძღვანელოები სამკერვალო სექტორისათვის.

ამ პროექტის განხორციელებისას სასწავლებელს ეწვია აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი.

საქველმოქმედო ფონდ **„საქართველოს კარიტასთან“** გაფორმებული ხელშეკრულებით, სტუდენტებს **დურგლის სპეციალობაში** ამზადებენ. კოლეჯი აღიჭურვა შესაბამისი ჩარხებით. დურგლის პროფესია ისეთი მოთხოვნადი გახდა, რომ მასზე ჩარიცხვა საკონკურსო შერჩევის წესით ხორციელდება. ამ ფონდისა და **„ტრენტო საქართველოსთვის“** მოწვევით, კოლეჯის დირექტორი ქალბატონი **ნონა ღუდუშაური იტალიაში ქალაქ ტრენტოში** გახლდათ, სადაც გაიმართა სემინარი; **აღინიშნა ფონდის მიერ კოლეჯში დურგლის სპეციალობის დაფინანსება. „მერმისს“ ესტუმრა იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქალბატონი ფედერიკა ფავი.**

ურთიერთგამოცდილების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს ქალაქ პიარნუს კოლეჯსა და იდავირუს პროფესიული გადამზადების ცენტრთან.

ყოველივე ეს კი ცხოვლად აისახება **„მერმისის“** პედკოლექტივის კვალიფიკაციასა და, შესატყვისად, სტუდენტების მომზადების ხარისხზე. ზემოთქმულს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით გამართული, სახარჯი მასალებით უხვად მომარაგებული, განათლების სამინისტროს ხელშეწყობით მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთვის და ეს ერთობლიობა კოლეჯის დაუჯერებელ წარმატებებს განაპირობებს.

შარშან კოლეჯი თანამედროვე სამრეწველო ინოვაციური ლაბო-

გაგრძელება მე-2 გვ.

შემდეგი ნომერი გამოვა სექტემბერში

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ბარათაშვილის ნაკვალევზე — 200

სხვა მზის შარავანდედი

რჩეულთათვის არ არსებობს წლების სათვალავი, არ არსებობს წლების სათვალავი **ტატო ბარათაშვილისთვისაც.**

უღვთო, ხანმოკლე იყო პოეტის სიცოცხლე...

ასე დაიწყო **„ივერონელი“ მეცხრეკლასელებისათვის** შემა-

ჯამებელი გაკვეთილი ქართულ ლიტერატურაში ჩახრუხაძის 17–ში, **ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში,** ძველი თბილისის რომანტიკულ უბანში, **პოეზიის მუზათა სავანეში.**

რვა ივნისის დილაც მუხრანბატონის უბნიდან დაიწყო. მოსწავლეთა თვალწინ ცოცხლდებოდა ისტორიული წარსული კინტოებით, ბერიკებით, ამქრებით, ფიროსმანის დუქნებითა თუ მედუქნეებით, გრიშაშვილის პოეტური ჰანგებით: **„მიყვარს თბილისი ირაკლივით მუდამ მშფოთვარე...“**

თბილისს მეტ-ნაკლებად ყველა ვიცნობთ, მაგრამ ამ დღემ, ბარათაშვილის ნაკვალევს რომ ვუძღვენით, **სხვა მზის შარავანდედით აგვავსო.**

მუზეუმის შემდეგ ორიენტაცია მთაწმინდისაკენ ავიღეთ.

უკვე მთაწმინდაზე ვიმყოფებით... ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში...ქრისტიანული ეკლესიის

შემოგარენში... აქა–იქ ისმოდა მოსწავლეთა გულიდან ამოფრქვეული ლოცვა **„მამაო ჩვენო...“**

„ბარათაშვილს აქ უყვარდა, ობლად სიარული...“

და, აი, მარტოსული პოეტის საფლავიც, მწვანით შემოსილი, **„ქართვლის ბედით გაჭაღარავებული“.**

მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს პოემა **„ბედი ქართლისა“.**

აღსარებასავით მხურვალე იყო **მეფე ერეკლეს (დავით ქავთარაძის)** მღელვარებით აღსავსე მომართვა ქართველი ერისადმი: **„დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს ძმანო მამული!“.**

და, აი, ბრძენი **სოლომონ ქველი (საბა გოგოლაშვილი)** მეფე ერეკლეს: ,,**ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება?!“.**

კრწანისის ველზე დამარცხებამ შეაძრწუნა ანი კაკაურიძე. აღშფოთებას ვერ ფარავს **სოფიო (სალომე სხილაძე).**

ქართველ ქალებს ხოტბას ასხამს **გოჩა თავაძე. ამა გოგუაძე, მადონა კულალაღაშვილი, გიორგი ჭიკაძე. ყარიბ მგოსნად** წარსდგა მოსწავლეთა წინაშე **გიორგი ზენაიშვილი.**

სულისშემძვრელია პოემის ფინალი: **„დიდი ხანია გულს ირაკლისას, გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!“.**

ღონისძიების მეორე ნაწილი მოსწავლეებმა პროგრამული ლექსების მხატვრულ კითხვას მიუძღვნეს. პოეტების საფლავებთან კითხულობდნენ: **„ტანოტატანოს“ – დავით ქავთარაძე, „საყურეს“ – გიორგი ზენაიშვილი,** გალაკტიონის **„რაც უფრო შორს ხარ“ – გოჩა თავაძე,** ანა კალანდაძის ლექსებს: **„ფეხი დამადგით“, „მოდიოდა ნინო მთებით“ – სალომე სხილაძე** და **მადონა კულალაღაშვილი,** ტატო ბარათაშვილის **„არ უკიჟინო სატრფოო“ – ანა გოგუაძე,** მირზა გელოვანის **„ნუ მწერ“ – გიორგი ჭიკაძე,** აკაკის **„განთიადს“ – საბა გოგოლაშვილი.** ვაჟას **„ჩემი ვედრება“** ლოცვად აღავლინა **ანი კაკაურიძემ.**

საფლავებს ამკობენ ყვავილებით... „დღემ დაიხურა პირბადე!“.

მთაწმინდაზე უცხოელ სტუ-

მრებსაც შევხვდით. საამაყოა, როცა გრძნობ ჭეშმარიტ მამულიშვილობას, **ბედნიერებაა,** როცა ასე უყვარს უცხოელს შენი ქვეყანა.

– განწყობილება ამაღლებულია... ეს დღე ერთ-ერთ ულამაზეს დღედ დარჩება ჩემს, ჩემი სადამრიგებლო მოსწავლეების მეხსიერებაში....

მადლობა თინა მასწავლებელს! კიდევ ერთხელ შევიგრძენით ძველი თბილისის ხიბლი, – ემოციებს ვერ ფარავს კლასის ხელმძღვანელი მარინე ბექურიძე.

ისღა დამრჩენია, ეს დღე, ეს მშვენიერება, ფურცელზე ავკინძო, რათა შევძლო, სადაც არ უნდა ვიყო, დავტკბე ჩემი ლამაზი ქალაქის მშვენიერებით, **ჩემი მოსწავლეების პოეტური ნიჭიერებით.**

P.S. ჰიპერბოლური როდი იქნება, თუ მადლიერების განწყობას გამოვხატავდი (ჩემს მოსწავლეებთან ერთად) ჩვენი სკოლის დამფუძნებლების ციცო ჯაფარიძისა და ნინო კობახიძისადმი.

აქ, სკოლა „ივერონში“, ყველაფერს ქალბატონ ციცო ჯაფარიძის ენერგიული შემართებისა და ნინო კობახიძის შემოქმედებითი თუ ფანტაზიური წარმოსახვის სული ასაზრდოებს.

თინა ჩხეიძე,
პედაგოგი და ჟურნალისტი

პირველი გვერდიდან

რატორია „ფაბლაბით“ გამდიდრდა. სპეციალური აღჭურვილობის – 3D პრინტერი, 3D სკანერი, პროგრამული ლაზერმჭრელი ვაკუუმფორმირების მანქანა, სახატავი პლანშეტი და ა. შ. – მეშვეობით სტუდენტები გაცილებით უკეთ ემზადებიან, რაც მათი დასაქმების შანსსაც ძალიან ზრდის და საკუთარი ბიზნესის წამოწყების წინაპირობასაც უქმნის ახალგაზრდებს. დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მოდელური პროგრამის სწავლება კი ვირტუალურად – სპეციალური ანიმაციური პროგრამით ხორციელდება.

კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას. ამის დასტურია ის, რომ შარშან ETF – ევროპული განათლების ფონდმა **„მერმისში“** დანერგილი ინკლუზიური განათლება ამიერკავკასიაში საუკეთესოდ დაასახელა. **ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე კოლეჯის დირექტორს ნონა ღუდუშაურს საპატიო პრიზი გადაეცა. პარტნიორმა ქვეყნებმა „მერმისის“** გამოცდილება გაიზიარეს.

ქვეყნისთვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანი: განათლების სამინისტროსა და სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, კოლეჯმა, 2013 წლიდან, 500-მდე მსჯავრდებულს ჩაუტარა ტრეინინგ-კურსები. ასე, რომ გათავისუფლებული პატიმარი პროფესიას ფლობს (თანაც, ძალზე მოთხოვნადს), რაც აადვილებს მის სოციალურ ადაპტაციას. ეს კი, კვლავ და კვლავ **„მერმისის“** დამსახურებაა.

კოლეჯის ხელმძღვანელობას, ისიც მუდმივად ახსოვს, რომ ახალგაზრდებს სიხალისე, გართობა სჭირდება. სწორედ საამისოდაა მრავალი კონკურსი, გამოფენა, შეხვედრა, დისპუტი, შეჯიბრება და სტუდენტთა ცხოვრებაც ლაღად, დინამიურად წარიმართება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ **„მერმისის“** აღსაზრდელები სხვადასხვა პრესტიჟულ კონკურსში იმარჯვებენ. ორიოდ მაგალითი: **ლია ბულაურმა** სტილისტების ეროვნულ კონკურსში გაიმარჯვა, ინტერნეტ-ტექნოლოგიებისაში კი – **ანდრო ველიჩკომ.** ისინი **ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში** გაემგზავრნენ საერთაშორისო კონკურსზე.

კოლეჯს სათავეში პროფესიულ სწავლებაში გამობრძმედილი ქალბატონი **ნონა ღუდუშაური** უდგას. იგი 2012 წელს დაინიშნა დირექტორად და უშუალოდ მისი, პედკოლექტივის უდიდესი ძალისხმევით გახდა **„მერმისი“** ისეთი, როგორიც – არის.

ცხადია, საგაზეთო **წერილში „მერმისის“** ყველა მიღწევის აღწერა ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას, მაგრამ, რაც ითქვა, ისიც საკმარისზე გაცილებით მეტია, რომ ითქვას: კოლეჯიც ვნახე, მის ყველა წარმატებაში დავრწმუნდი, მაგრამ, ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით, მაინც მიჭირს დაჯერება, რომ ასეთი კოლეჯი გვაქვს და იგი ასეთ დაუჯერებელ წარმატებებს აღწევს. **მაგრამ, საბედნიეროდ, ეს „დაუჯერებელი“ ფაქტია: გვაქვს „დაუჯერებელი“ კოლეჯი „მერმისი“, რომელიც ასეთ დაუჯერებელ წარმატებებს აღწევდა, აღწევს და მიაღწევს კიდეც.**

კონსტანტინე გურგენიძე

„ამ გიგანტებს რომ ჩაუვლი ყოველ დილით, შეიგრძნობ – უდიდესი და წარმატებული სამყაროს ნაწილი ხარ... ბევრი ახალგაზრდის ცხოვრებაში და წინსვლაში წვლილი რომ შეგაქვს, სიამაყეცაა და უდიდესი პასუხისმგებლობაც...“

ასეთი მესიჯი გამოგზავნა 2017 წლის მაისში ამერიკის შეერთებული შტატებიდან სერვანტესის სახელობის გიმნაზიის ერთ-ერთმა დირექტორმა ქალბატონმა **რუსუდან ბოლქვაძემ** (გიმნაზიას დირექტორთა საბჭო მართავს: **რუსუდან, ნონა ბოლქვაძეები** და **ლელა ბოჭოიძე**), სადაც უკვე მერამდენედ იყვნენ მიწვეულნი. ამჯერად – ნორჩ გამომგონებელთა კონკურსში.

გიმნაზია ულამაზესი და უსათუთესი ტრადიციით უკვე მეთხუთმეტედ ულოცავს ცხოვრების დიდ გზას აღზრდილებს, ვისიც რა – ენის ცოდნით, რა – კვალიფიკაციით, ფაქტობრივად, მთელი ცივილიზებული დედამიწაა.

ამაში რომ მისხალიც არაა გადამეტებული, ძნელად ამოსარჩევიდან ამორჩეული სასწავლებლის წარსული მიღწევების თეზისურად ჩამოთვლაც წყალგაუვალად დაგარწმუნებთ: 2007 – 2016 – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალი; 2016 – გრანარი და მეცხრე ადგილი მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსს **„ლეონარდო და ვინჩი“**-ში; ორი სპეციალური პრიზი, სუპერფინალი აშშ-ში, ტური ევროპაში და ფულადი პრიზები; ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტურნირები აშშ-ის ქალაქ **სან-ხოსეში**; ორი – ოქროს, 8-8 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ნორჩ გამომგონებელთა საერთაშორისო ტურნირებში; მონაწილეობა ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციებში.

და ჯერ ამ სასწავლო წლისა არ ჩამომითვლია. ესეც თეზისურად, შერჩევით: **„ლეონარდო და ვინჩი“**-ს სახელობის კონკურსი **ლოს-ანჯელესში**; ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალი; ადგილი 5 რჩეულ გუნდს შორის საერთაშორისო ბინზელ-კონკურს **„ბრილიანტის გამოწვევაში“**; თბილისისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტების კოლაბორაციით გამართული ოლიმპიადა **„მეცნიერების თასი“**; გამარჯვება გარემოსდაცვითი და განათლების ცენტრის გამართულ ესსების წელი – **ეგვიპტე**; 2009 – **მაროკო**; 2010 – **კანადა**; 2013 – **კატარი**; 2015 – **ბრაზილია** – მონაწილეობა საერთაშორისო ახალგაზრდულ სამიტებში; 2016 წელი – **აშშ-ის კონრადის ფონდის** ორგანიზებულ ყოველწლიურ სამიტში მონაწილეობა **„ნასას“** კენედის კოსმოსურ ცენტრში; კონკურსში; მეათეკლასელ **გეგა ტყეშელაშვილის** გამარჯვება მათემატიკურ ზეპირი თვლის კონკურსში და **ლიტვაში** საერთაშორისო ფინალში მონაწილეობა; მეთერთმეტე კლასელები **ნათია მეტონიძე** და **თეო მუნჯიშვილი** – მეთორმეტე კლასებში ისწავლიან

სერვანტესის სახელობის გიმნაზიის უსაზღვრო შესაძლებლობები

მათია მთელი პლანეტა!

აშშ-ისა და **ინგლისის** საუკეთესო კოლეჯებში (დაიმსახურეს);

ზემოთქმულს დაურთეთ სხვადასხვა თემატურ-საგნობრივი კლუბი, ცეკვის, ხატვის, ჭადრაკის, საესტრადო, ხალხური სიმღერებისა და თეატრალური სტუდიები, რამდენიმე უცხო ენის ზედმიწევნით ცოდნა და ვთქვათ, მათია თუ არა მთელი ცივილიზებული პლანეტა?!

ასეთი გრანდიოზული წარმატებების ლოგიკური შედეგი: გიმნაზია „ლონდონის წმიდა გიორგის საერთაშორისო ენის ცენტრ „SGI“-ის, გრანადის საერთაშორისო ენის ცენტრ „ELESR“-ესა და სოლომანკის ენების აკადემიის „Colegio Delibes“-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში.

და, აი, კვლავ მოაწია განშორების ერთდროულად ხალისიანმა და სევდიანმა, აღმაფრენმა

და წლების მანძილზე ასე გათავისებულ გარემოსთან, აღმზრდელ-პედაგოგებთან განშორების ჟამმა.

ვიმეორებ: საოცრად ლაღი-და ლამაზი, გულშიჩამწვდომი, ყმაწვილების სიყვარულზე აღმოცენებული და მასზე დაფუძნებული ულამაზესი ტრადიციაა დამკვიდრებული გიმნაზიაში – **კურსდამთავრებულთა საზეიმოდ გაცილება, გზის დალოცვა და, ამავდროულად, პირველკლასელების საოცარი გულთბილობით, რუდუნებით მიღება.** პატარებს მალევე ეცვლებათ გაოცებულ-შიშნარევი გამომეტყველება აღტაცებითა და საკუთარი ღირსების შემცველი მზერით, რადგან მათ სწორედ ეს კურსდამთავრებულები იღებენ, ეფერებიან და აკვალიანებენ.

აგერ, ამ ახალგაზრდებმა წარმატებით ჩააბარეს გამოსაშვები გამოცდები. მათგან მრავალი გახლდათ აშშ-ში ფიზიკოსთა ტურნირებსა თუ კოსმოსურ ცენტრ **„ნასა“**-ში, **„INTEL ISEF“**-ისა თუ **„გაეროს“** მოდელირების პროექტებში. რამდენმა მოიპოვა **სან-დიეგოსა** და **ტალანის** უნივერსიტეტების 100%-იანი გრანტები, ამერიკის **აუბარნის** უნივერსიტეტის ავიაციის ფაკულტეტის – 30%-იანი გრანტი.

„ჩვენო ნიჭიერო და ლამაზო ახალგაზრდებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ სკოლის დამთავრებას. წარმატებულ და ბედნიერ სტუდენტობას გისურვებთ. ისეთი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღიჭურვილთ გიშვებთ სასწავლებლიდან, რომ რომელი სფეროც გინდათ აირჩიოთ სამოღვაწეოდ, ყველგან უთუოდ წარმატებულნი იქნებით, ყველგან დატოვებთ მნიშვნელოვან, გამორჩეულ კვალს.

უფალმა დაგლოცოთ, ღმერთს ებარებოდეთ!“ – ასე მიმართა დიდი ცხოვრების ზღურბლთან მდგარ ყმაწვილებს ქალბატონმა ნონა ბოლქვაძემ.

რამდენი რამ გაიხსენეს, რამდენი იხალისეს, მაგრამ ცოტა მაინც დასწყდათ გული. და ეს კარგია – ე. ი. აფასებენ ამ კედლებში გატარებულ წლებს, აღმზრდელთა ღვაწლსა და თავდადებას. ზნეკეთილი, სიკეთის მადლის დამფასებელი, მცოდნე ახალგაზრდები ქვეყნის ყველაზე დიდი განძია.

განა, მხოლოდ მეცნიერების სხვადასხვა დარგთან ძლევამოსილი ჭიდილი ხელეწიფებათ გიმნაზიელებს. მართლაც საოცარი, ზღაპრული სპექტაკლით – **სალომე გელაშვილმა, ნინო გოგოხიამ, ნიკოლოზ ჩოხელმა, ანდრია პეტაშვილნა, ცოტნე ჩიხელიძემ, გიორგი ონიაშვილმა, ლუკა ქვრივიშვილმა, აკაკი აქუბარდიამ** მსახიობის ოსტატობით, ბუნებრიობით მრავალჯერ დაიმსახურეს მაყურებელთა ოვაცია.

სცენარის ავტორმა, მხატვარმა და დამდგმელმა რეჟისორმა, გიმნაზიის მეორე კლასის მასწავლებელმა და თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელმა **ეკა ფიფიამ** დიდებულად მოარგო სპექტაკლი ბავშვების ასაკსა და შესაძლებლობებს.

ნატიფად, სპექტაკლის სპეციფიკასთან სრულად შესატყვისად შეარჩიეს სიმღერები და მუსიკა მათმა ავტორებმა, სკოლის მუსიკის მასწავლებლებმა **თოვლია მიქავამ** და **ხატია ჯავჯანაშვილმა**. ბრწყინვალე იყო **ფიქრია კუჭუაშვილის** ქორეოგრაფია.

„ამ ულამაზეს ბავშვებს, ეგზიუპერის თქმისა არ იყოს, ვასწავლით „პატარა ნაბიჯების ხელოვნებას“. ვასწავლით ნელ, დაბეჯითებულ, მიზანმიმართულ სვლას მწვერვალისაკენ, დასახული მიზნებისაკენ; ვასწავლით შრომას, შევაყვარებთ წიგნსა და მოყვასს. უფრო მეტად ავუფერადებთ ბავშვობის ჯადოსნურ სამყაროს“ – მიმართა პირველკლასელთა მშობლებსა და პატარებს ქალბატონმა **ლელა ბოჭოიძემ.**

„მძინარე მზეთუნახავი“ – გააცილეს კურსდამთავრებულები და შეხვდნენ პირველკლასელებს.

პატარა მსახიობებმა ისე აითვისეს სცენა, ისეთი დამაჯერებლობით ასრულებდნენ როლებს, რომ პროფესიონალები გეგონებოდათ.

II-IV კლასების მოსწავლეებმა: **მაქსიმე ნაავგუსტმა, ნენე ზუბაშვილმა, გეგა ლაღიძემ, ანა-მარია წურწუმიამ, მათე მათურელმა, მეგი ფიფიამ, ელენე სებისკვერაძემ, ნათია ბულბულაშვილმა,**

აუცილებლად იქნება ასე. ეს პატარებიც გაიმარჯვებენ მრავალ პრესტიჟულ, საერთაშორისო ტურნირსა თუ კონკურსში, მოიპოვებენ გრანტებსა და ჯილდოებს და დადგება სკოლასთან მათი განშორების ჟამიც. **მათთვისაც გადაიშლება მთელი პლანეტა, ისე, როგორც გიმნაზიის ახლანდელი კურსდამთავრებულების წინაშე გადაიშალა.**

კონსტანტინე გურგენიძე

ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა

პატარებს „არენა'' ეწვიათ

პირველ ივნისს, თბილისის 136-ე ბაგა-ბაღს ქართული ცირკი **„არენა"** ეწვია და ბავშვებს ნამდვილი დღესასწაული მოუწყო. სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი იყო და საცირკო წარმოდგენაში, მსახიობებთან ერთად პატარებიც მონაწილეობდნენ. წარმოდგენის ინიციატორი გახლდათ ქართული ცირკის მოღვაწეთა კავშირი და მისი ხელმძღვანელი **გოჩა ხარატიშვილი**.

აღსაზრდელები, ბავშვები ძალიან გაამხიარულა ცირკის დამსახურებულმა მსახიობმა **პაატა ძულიაშვილმა**, რომელმაც საინტერესო და სანახაობრივი ნომრები წარმოადგინა. შთამბეჭდავი იყო ჯამბაზის გამოჩენა, რომელმაც ძალიან გაართო პატარები. ასევე, საინტერესო იყო ეკვილიბრისტის გამოსვლაც. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: **ჯიმი ჩხაიძე, ბონდო ძულიაშვილი** და **ელისო მუმლაძე**.

ნინო ყაველაშვილი – 136-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: ცირკის მსახიობებმა მართლაც ააჟრიამულეს ბაღი. პატარებმა ბევრი იცინეს და იმხიარულეს. მოგეხსენებათ, ბავშვების სულიერი განვითარებისთვის ხელოვნებას და საცირკო სანახაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსაზრდელების სახელით, მადლობას ვუხდით ცირკის მოღვაწეთა კავშირს და ბაგა-ბაღების საგენტოს ხელმძღვანელს,**თემურ თორდინავას** ასეთი ლამაზი დღესასწაულისთვის. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, დილით ზეიმი ეზოში გაიმართა, სადაც მუსიკის ფონზე პატარებს ზღაპრის გმირები ეგებებოდნენ და პირველ ივნისს ულოცავდნენ,. ცუგრუმელებმა იცეკვეს, იმხიარულეს და ფერადი ცარცებით ეზო მოხატეს.

136-ე ბაგა-ბაღი ვაზისუბნის მე-2 მიკრორაიონში მდებარეობს და პერიფერიული მდებარეობის მიუხედავად, საკმაოდ პოპულარული საბავშვო დაწესებულებაა და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

ბაღს სათავეში უდგას ენერგიული და კარგი მენეჯერული თვისებებით დაჯილდოებული ქალბატონი **ნინო ყაველაშვილი**. ქალბატონი ნინო პროფესიით პედაგოგია. იგი თავდაპირველად მუშაობდა **საჩხერის** რაიონში, სოფელ **სავანეში** გეოგრაფიის მასწავლებლად, შემდეგ კი, თბილისში 28-ე ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილე იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დირექტორის მოსვლის დღიდან, ბაღის იერ-სახე საგრძნობლად შეიცვალა და უფრო მომხიბლავი გახდა. ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური აღმზრდელებით, რომლებიც შესანიშნავად ზრუნავენ პატარებზე. აქ სულ 70 თანამშრომელია და 480 ბავშვია. წარმატებით ხორციელდება**„სასკოლო მზაობის"** პროგრამა და წლეულს, 168 აღსაზრდელი წავა სკოლაში.

საბავშვო დაწესებულებაში ხშირად იმართება სხვდასხვა აქტივობები, შემოქმედებითი ღონისძიებები. ბაღის მესვეურები და აღსაზრდელები მონაწილეობდნენ ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონკურს-ფესტივალში **„პატარა ხელებით"**, სადაც წარადგინეს ხელნაკეთი ნამუშევრები.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ღონისძიება საქველმოქმედოა და გაყიდული ნამუშევრებიდან შემოსული თანხით ბავშვთა სოლიდარობის ფონდს დაეხმარებიან.

მზია გოგოძე

P.S. ***კიდევ რამდენიმე დღე და დაიწყება ცეროდენებისთვის ძვირფასი არდადეგები. გილოცავთ სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას და ზაფხულის მხიარულად გატარებას გისურვებთ.***

ერთი შთამბეჭდავი ზეიმი

ცეროდენებს მუდამ ემახსოვრებათ

121-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, მხიარული დღეები და შემოქმედებითი ღონისძიებები ნამდვილად არ აკლიათ. შთამბეჭდავი იყო საგაზაფხულო ზეიმიც, სადაც პატარებთან ერთად უფროსებიც იყვნენ ჩართული. ასევე, ხშირად იმართება თემატური ღონისძიებები, ღია გაკვეთილები და გამოფენები, სადაც წარმოდგენილია ბავშვების ნახატები, აპლიკაციები, გამოძერწილი ზღაპრების გმირები.

ბავშვებისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად თავს არ ზოგავს დირექცია და ბაღის თითოეული თანამშრომელი. აქ გუნდური პრინციპით მუშაობენ და ყველა თავის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს.

ბაგა-ბაღს სათავეში უდგას ახალგაზრდა, ენერგიული, შემოქმედი ქალბატონი **ლაურა ნატროშვილი.** მართალია, იგი 2 თვეა რაც დირექტორად დაინიშნა, მაგრამ მისი მოსვლის დღიდან ბაღი კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა. ქალბატონი ლაურა კარგად იცნობს სკოლამდელი აღზრდის სისტემას. თავდაპირველად, იგი ჯერ აღმზრდელად მუშაობდა, შემდეგ კი, 182-ე ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილე იყო.

ცუგრუმელების ამ ზღაპრულ სახლში ახალ ხელმძღვანელს მხარში ერთგულად ამოუდგა მთელი კოლექტივი და ერთობლივად ბევრი კარგი საქმე გააკეთეს, დამყარდა წესრიგი, სისუფთავე და დისციპლინა. ბაგა-ბაღების სააგენტოს და **თემურ თორდინავას** ხელშეწყობით, ბევრი რამ გაკეთდა, ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და სახელმძღვანელოებით; მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულოში დამონტაჟდა ახალი ელექტრო ქურა, დარბაზისთვის შეიძინეს პროფესიონალური მუსიკალური ცენტრი და ა.შ. ქალბატონი ლაურა დადებითად ახასიათებს ბაღის თანამშრომლებს და მადლობას უხდის მათ თავდაუზოგავი შრომისთვის.

ბაღში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას. მეთოდისტის ხელმძღვანელობით, პატარების განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის"**პროგრამა და კარგად მომზადებულ ბავშვებს გაუშვებენ სკოლაში.

პატარების ჰიგიენასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავენ კომპეტენტური სპეციალისტები. ცეროდენების კვება უმაღლეს დონეზეა, სადაც დაცულია ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ცეროდენებს ძალიან მოსწონთ ბაღში მომზადებული გემრიელი და არომატული კერძები. აღსაზრდელებს ცხოვრებას ულამაზებენ მუსიკის პედაგოგები. მათ დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები და მათი თანაშემწეები.

121-ე ბაგა-ბაღში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რათა აღსაზრდელებმა თავი მშობლიურ გარემოში იგრძნონ და აქ გატარებული წლები მთელი ცხოვრება დაამახსოვრდეთ. მთავარი ისაა, რომ ნორჩების მშობლები კმაყოფილნი არიან ბაგა-ბაღის საქმიანობით.

მზია გოგოძე

მხიარულ დასვენებას გისურვებთ, 46-ე ბაგა-ბაღელებო!

სუტყვშბერში უფრო კარგები დავბრუნდებით

თბილისის 46-ე ბაგა-ბაღი ნაძალადევის რაიონში კი არა, მთელ დედაქალაქში სანიმუშოა. აქ პატარებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემოა შექმნილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საოცრად მოვლილ-ნაპატრონები მწვანეში ჩაფლული ეზო, ნაძვნარით, ყვავილებით, ხეხილით, ვაზით დამშვენებული, ხის ფანჩატურებით, სასრიალოებითა და ათასგვარი გასართობებით გალამაზებული, სადაც თითოეულ ჯგუფს თავისი ადგილი აქვს გამოყოფილი და

დროს მხიარულად ატარებენ.

დირექტორმა **ირმა გრიგოლიამ** 112-ე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. ამ ბაღში 1993 წლიდან მუშაობს, ჯერ აღმზრდელად, ფსიქოლოგად, მეთოდისტად და ბოლოს, 2007 წლიდან, კონკურსის წესით დანიშნული დირექტორია. წინამორბედ დირექტორ **თინა ჩეჩელაშვილთან** ერთად, რომელიც ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი იყო, ყველაფერს აკეთებდა ბაღის გადასარჩენად, საკუთარი ხელით ანთებდა შეშის ღუმელს, სახლიდან მოჰქონდა საკვები და ბევრი საჭირო ნივთი, რომელიც ბაღში დღემდეა შემორჩენილი.

პატარებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნაში დირექტორის გვერდით დგანან ჩინებული სპეციალისტები: დირექტორის მოადგილე **ნინო შანიძე**, საქმისმწარმოებლები – **როზა ხელაძე**, **ქეთევან კოპალიანი**; ჯანმრთელობის და ჰიგიენის კოორდინატორები – **რუსუდან ბარაბაძე**, **სოფიკო დანელია** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **მანანა კობახიძე**.

ქალბატონი ირმა განათლების ხარისხის ცენტრში ფასილიტატორი და ტრენერია, რეგიონებში აღმზრდელებისთვის ტრენინგებს ატარებს. როგორც თავად აღნიშნავს, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მოწოდებული სპეციალური პროგრამები, მაგალითად, თამაშით სწავლების პროგრამა, აღმზრდელმა სწორად უნდა გაითავისოს, რადგან ამაზე უკეთესი პროგრამა ჯერ არ შექმნილა. ამ პროგრამით აღსაზრდელების სკოლისათვის მზადებას წარმატებით ახორციელებენ აღმზრდელები: **ნინელი შიუკაშვილი**, **ციცინო კურდღელაშვილი**, **ნათელა მიქუტიშვილი**, **ლალი შენგელია**, **მაია ნინუა**, **ელისაბედ გულბათაშვილი**, **ირმა ავსაჯანიშვილი**, **ვერა ფავლენიშვილი**, **მზია სამადაშვილი**, **ნაზიკო ჯაფარიძე**, **მაია ლომთაძე**, **ია ბერიძე**, **ნატალია რურუა**, **მარინე ბიწაძე**, **ირმა მსხილაძე**.

პატარებთან ასევე მთელი გატაცებით მუშაობენ აღმზრელეთა თანაშემწეები: **როზეტა მამისეიშვილი, ლალი სინაძე, მაია კელაპტრიშვილი, გვანცა ყიფიანი, ნაირა გამჯაშვილი, ია ხელაშვილი, სოფიო მორჩილაძე, ნანი კაკაურიძე, ტაისა კვინიკაძე, ანნა მალაღურაძე, ეკატერინე ერაძე, ელზა მასხარაშვილი, ნანა შიუკაშვილი, ქეთევან ასლანიშვილი, ეკა ბარაბაძე, მაკა კაპანაძე, ლინა ბერიძე, ნაირა ბაბაშვილი, მაკა სხირტლაძე, თაიგულა ბიძინაშვილი, თამარ ბაიდაურიბროლაძე, ელიზა მაისურაძე, მაკა ლაგაზაშვილი, ანნა კახიძე, ინგა ბოგვერაძე, შორენა მიქავა.**

ბაგა-ბაღში შექმნილია საუკეთესო ინკლუზიური გარემო, ფუნქციონირებს რესურსოთახი, სადაც 14 ბავშვია. მათ ყურადღებას არ აკლებენ სპეცპედაგოგი **ნათია მარგებაძე,** ფსიქოლოგი **ირმა ასლანიშვილი** და ლოგოპედი **მარეხ მამულაშვილი.**

კეთილმოწყობილ და ლამაზად გაფორმებულ დარბაზში მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ციცინო ლაბაძე**, **მარინე ნასუაშვილი** და **მარინე მასხარაშვილი** თვალნათლივ წარმოაჩენენ აღსაზრდელებთან დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგებს.

თბილისის მერიისა და სააგენტოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბაგა-ბაღების კვების რაციონი საგრძნობლად გაუმჯობესდა. მზარეული **ნელი კენკებაშვილი** და მზარეულის დამხმარეები – **მარინე ლომიძე, ელენე იაკობიძე** და **მაყვალა წიკლაური**, პატარებს სთავაზობენ სასიამოვნო კერძებს.

ბაღის ჰიგიენასა და სისუფთავეზე, დაკრიალებულ ჯგუფებსა და სველ წერტილებზე, ქათქათა თეთრეულსა და სუფთა ჭურჭელზე ზრუნავენ მრეცხავები: **ცირა ავსაჯანიშვილი, ნათელა იაკობიძე, მარიანა პაპიაშვილი, იზოლდა შერმადინი, მარიამ მაღალდაძე, მაია ცერცვაძე** და დამლაგებლები: **ნინო მაღრაძე, ლეილა მდივანი, დოდო ჯანაშია, თამარ პეტრიაძე, ლალი მინდიაშვილი, ცისანა ახობაძე.**

დიდი მადლობა ტექნიკურ პერსონალს – **შოთა მაჭარაშვილს, არჩილ წიკლაურს, დავით მინდიაშვილს, ალექსი ვარდოსანიძეს.**

სტანდარტების შესაბამის მეთოდურ სამუშაოებს მაღალ დონეზე ასრულებს განათლების პროგრამების კოორდინატორი**მანანა ჩეჩელაშვილი**. ჩატარდა აქტივობები სხვადასხვა თემაზე – **„მე სკოლაში მივდივარ“, „ანბანი“, 26 მაისი**; 2 აქტივობა ეკოლოგიაზე – **„დედამიწა ჩვენი სახლია“** და **„ჰაბიტატი“**, ანუ საარსებო სივრცე ყველასათვის, ადამიანებისა თუ ცხოველებისათვის. უკვე ტრადიციად იქცა აქტივობა – ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა, სადაც მზაობის ხუთივე ჯგუფის აღსაზრდელები გამოსამშვიდობებელ კონცერტს ატარებენ.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ გამოფენა ფესტივალზე **„პატარა ხელებით“**, ამ ბაღის აღსაზრდელებმა და აღმზრდელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი ნამუშევრები გამოფინეს. ეს იყო პროექტი პატარები – პატარების დასახმარებლად და შემოსული თანხა მძიმედ დაავადებულ ბავშვთა ფონდში გადაირიცხა.

„ეს არის ის საქმე, რომელიც მე ძალიან მიყვარს და შემიძლია უანგაროდ, უხელფასოდ ვემსახურო მას, ოღონდ ყველაფერი გაკეთდეს ისე, როგორც საჭიროა და ამას ვამბობ რეალურად, ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე“ – ამბობს **ირმა გრიგოლია** და ამ სიტყვების რეალური შედეგი მისი გაკეთებული საქმეა.

ნათია გურგენიძე

ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად — ზრდილობა“

„ყვავი რა ვარდსა იშოვნის, თავი გულგული ჰგონია“

სათაურად გამოტანილი რუსთველის ეს აფორიზმი გამახსენდა, როცა 166-ე ბაგა-ბაღის დირექტორს **შორენა პარუნაშვილს** ვესტუმრე. შეხვედრისას თავი ხაზგასმული სიამაყით დაიჭირა, სალამი ძლივს გაიმეტა (ვის სჭირდებოდა მისი ფეხზე წამოდგომა), ირონიულად გადმომხედა, გაოცება გამოხატა, არ გელოდიო. არადა, წინა დღეს რედაქტორთან იყო შეთანხმებული, ჩვენი მისვლის მიზანი იყო კეთილშობილური: დადებითი კუთხით ბაგა-ბაღის ცხოვრების ასახვა, მიღწევებზე საუბარი, ახალმოსული დირექტორის პრესტიჟის ამაღლება.

კომპიუტერით დიდხანს „გაერთო“ და, როგორც იქნა, მაღირსა ყურადღება. მითხრა, შავად დაწერილი მასალა გადმომიგზავნე, გამაცანიო, შესწორება-დაზუსტება იქნებ საჭირო იყოსო. ასეთი წესი არ არსებობს: რამდენი სტატია დაიწერება, საცენზუროდ რომ ვაზგავნოთ, საქმე სად წავა? დავთანხმდით პირობით: გაცნობოდა, ამოსაღები ამოეღო, ჩასამატებელი ჩაემატებინა.

დირექტორმა, რომელიც განათლების დარგის მუშაკია, ეტყობა არ იცის, რომ მასწავლებელთა გაზეთი „სახალხო განათლება+“ 90 წლის გაზეთია. იგი მხოლოდ ერთადერთია, რომელიც სკოლამდელთა ცხოვრებას ინტენსიურად აშუქებს. ამ ბაგა-ბაღზეც ბევრჯერ დაგვიწერია. ძალიან გამიკვირდა „ახალგამოჩეკილი“ დირექტორისგან გაზეთის მიმართ აგდებული დამოკიდებულება.

შეთანხმებისამებრ გავუგზავნე მომზადებული მასალა და ჰოი, საოცრებავ, აი, მისი პასუხი: „მე სხვანაირად მინდოდა. ამიტომ უარს ვამბობ“. რა ქვია ყოველივე ამას? კითხვა: პარუნაშვილი როცა ასე ქედმაღლურად ექცევა სტუმარს, როგორი იქნება იგი ხელქვეითებთან?

მზია გოგოძე

რედაქტორის კომენტარი: *ჟურნალისტი დირექტორთან ჩემი დაზუსტებული შეთანხმების შემდეგ წავიდა. იქ რაც მოხდა, ამაზე ზემოთაა ნათქვამი. მეც იგივე ტონით მესაუბრა შორენა პარუნაშვილი: წერილს ჟურნალისტური ოსტატობა აკლიაო. ჭკუის სწავლება დამიწყო, თუ როგორ უნდა დაეწერა მზიას წერილი. ოთხჯერ შევახსენე პირობა: წინასწარ გამოგიგზავნა მასალა, რომ თქვენთვის სასურველი ცვლილებები შეგეტანათ-მეთქი. ხუთჯერ მითხრა: ხომ მაქვს უფლება, უარი ვთქვაო? როგორ არა, გაქვთ უარის თქმის უფლება, პატივცემულო დირექტორო, მაგრამ სხვა უწყების თანამშრომელთა მოტყუების, მათი საქმიანობის შეფასება-გაქილიკების უფლება ნამდვილად არა გაქვთ – ეს თქვენს მწირ კომპეტენციას დიდად აღემატება.*

ამას სჯობს თქვენს უბანს მიხედოთ და არა, ბოდიში ამ სიტყვებზე, ჩვენ ენა გვიტლიკინოთ.

დირექტორი
მერი ჭარელიშვილი

115-ე ბაგა-ბაღლებმა ბრწყინვალედ დაამთავრეს სასწავლო წელი

„გიგლა გეყოფა სწავლა – ახლა კარგია გავლა!“

რედაქციაში მივიღეთ მადლიერ მშობელთა წერილები, რომლებიც გვთხოვდნენ დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ ბაგა-ბაღზე საგაზეთო სტატიის გამოქვეყნებას. სწორედ ეს გახლდათ 115-ე ბაღში ჩვენი სტუმრობის მიზეზი.

დირექტორის მოადგილე მაია ზედგენიძე და პატარები

სპეც პედაგოგი ლია გარსევანიშვილი

„პატარების მყუდრო სავანე“ – ასე უწოდებენ 115-ე ბაგა-ბაღს, რომელიც ცეროდენებისთვის მართლაც საოცნებო სამყაროა. იგი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

ბაგა-ბაღს სათავეში უდგას ღვაწლმოსილი პიროვნება და თავისი საქმის უზადო მცოდნე **მერი ჭარელიშვილი**. იგი, შარშან დაინიშნა ბაღის დირექტორად, თუმცა, აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებას ადრეც 28 წელიწადი ხელმძღვანელობდა.

დოსიე: **მერი ჭარელიშვილი** დაიბადა ასპინძაში. 1968 წელს დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა. 1975 წელს კი, ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის და ლიტერატურის ფაკულტეტი, პარალელურად, ლათინური ენების კურსები. 1975-78 წლებში მუშაობდა 73-ე ბაგა-ბაღში აღმზრდელად, შემდეგ კი, გამგის თანამდებობაზე დაინიშნა. სამწუხაროდ, ქალბატონი მერი 9 წლის წინათ „პოლიტიკური სარჩულით“ გაათავისუფლეს სამსახურიდან, თუმცა, **თემურ თორდინავას** დახმარებით, კვლავ დაუბრუნდა საყვარელ საქმიანობას.

მეთოდისტი ნინო ხოსიტაშვილი

აღმზრდელი მაია გამეზარდაშვილი

მერი ჭარელიშვილი: „115-ე ბაგა-ბაღში მოსვლისთანავე გადავხედე შენობის შიდა და გარე მდგომარეობას, რომელიც ძალიან სარემონტო იყო. მოვაწესრიგე ინფრასტრუქტურა, სველი წერტილები, ეზო, საბავშვო ოთახები, შემოსასვლელი და კაბინეტები. ჩემი მოტივაცია იყო წესრიგში მომეყვანა შენობის გარე ფასადი და მოვახერხე კიდეც. გასული ზაფხული, შეიძლება ითქვას, „სამხედრო რეჟიმში“ გავატარე და უდიდეს შედეგს მივაღწიე. შენობა, ასევე, შეიღება და გალამაზდა, დავამატეთ სააღმზრდელო ჯგუფი საგულდაგულოდ, გარემონტდა **სანჰიგიენის** ოთახები, მუსიკის, სპორტისა და ცეკვის დარბაზები. კვების ბლოკი კი, მთლიანად შეიცვალა, გამოიცვალა ელექტროქურები, დაიდგა უჟანგავი სტელაჟები და მაგიდები. ასევე, შევიძინეთ საცხობი ქურა, სალათის და ხორცსაკეპი მანქანები, 3 მაცივარი და პურის სათავსო კარადა.ასე რომ, ბაღი თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება და აღჭურვილია ყველანაირი საჭირო ინვენტარით“.

ქალბატონი მერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თანამშრომლებსა და კოლეგებს შორის. ეზო ნამდვილ ბაღნარად აქცია, გააშენა სხვადასხვა მწვანე ნარგავები, დეკორატიული მცენარეები, ხეხილი, ყვავილები. შენობაში სარემონტო სამუშაოების გარდა, მოაწყო სამლოცველო კუთხე, რომელიც პატრიარქის ლოცვა კურთხევით გაიხსნა. ერთი სიტყვით, ბაღში რაც კი რამ გაკეთდა, სწორედ, ქალბატონი მერის დამსახურებაა, ამიტომაც იგი დიდ შექებაზე მეტს იმსახურებს.

დირექტორის მოადგილე **მაია ზედგინიძე** გატაცებით მხარში უდგას ქალბატონ მერის, აღმზრდელებს, მთელ კოლექტივს. აღნიშვნის ღირსია მისი შემოქმედებითი თვისება აქვს ოქროს ხელები, რომლითაც ალამაზებს და ახალისებს შენობის სხვადასხვა კუთხეს.

დირექტორი კმაყოფილია და მაღალ შეფასებას აძლევს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **ნინო ხოსიტაშვილის** საქმიანობას, რომელიც

აღმზრდელი ირინე ჩიხლაძე

გამოცდილი კადრია და კარგად იცის თავისი საქმე. არის არაერთი შემოქმედებითი სიახლის ავტორი, აღმზრდელებთან კოორდინირებულად მუშაობს და არის მრავალი პროექტისა თუ მიმართულების ინიციატორი.

აღმზრდელი მაია მშვენიერიძე

პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორი **დოდო კვირაია**. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ბაღის თითოეული კუთხე-კუნჭული ბრწყინავს და წესრიგშია.

უნდა დავულოცოთ მარჯვენა სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს **ეკატერინე ნოზაძეს** და **მაია ლაშხს**. მათი მონდომებით ბაღში იდეალურად არის მოწესრიგებული მომარაგების საკითხი, დროულად მიეწოდებათ კვების პროდუქტები, სამეურნეო და საკანცელარიო მასალები.

ცუგრუმელებს, მშობლებს და ბაგა-ბაღის თანამშრომლებს შესანიშნავად ემსახურებიან გამოცდილი საქმისმწარმოებლები: **მანია კედელაშვილი** და **ლალი მაღლაფერიძე**.

ბაღს ემსახურება პროფესიონალი ფსიქოლოგი **ლია ხედეშელი**, ლოგოპედი **ეკაშიხიაშვილი** და სპეცპედაგოგი **ლია გარსევანიშვილი**. მათი მეშვეობით, არაერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარამ დაიწყო მეტყველება და სკოლის მოსწავლეც

გაგრძელება მე-7 გვ.

მე-6 გვერდიდან

გახდა.

ბაღში ზეიმების პერიოდია. იწყება მხიარული ზაფხული. ჯგუფებში ტარდება გამოსაშვები

დირექტორი 5-6 წლიანთა ჯგუფთან, აღმზრდელი ნანა ყიფშიძე

საღამოები და თვალხატულა გოგო-ბიჭები, სტუმრებს თავიანთი შემოქმედებით ხიბლავენ. პატარების გამხიარულებაზე ზრუნავს მუსიკის გამოცდილი პედაგოგი **თინათინ ბუსხრიკიძე** და ახალგაზრდა, ენერგიული სპეციალისტი **ნინო ალენიკოვი.** ასევე, მაღალკვალიფიციური ცეკვის მასწავლებელი **კახა ბარბაქაძე**.

აღმზრდელი მაგული ტაბატაძე

ბავშვებს, დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები: **თამილა ლომჯარია, მაია მშვენიერაძე, მაია გამეზარდაშვილი, ნანა ყიფშიძე, ირმა სიორდია, მაგული ტაბატაძე, ნაირა ეჯიბაძე, მარინე შანიძე, თამარ ღაღანიძე, იზა პავლიაშვილი, ლამარა ქუფარაშვილი, ბელა გალუსტოვა, ნონა ბეგოიძე, ლიანა გურულიშვილი, ლია ბობოხიძე, ირინა ჩიხლაძე, მაკა ნადირაძე** და **აზა გაზდელიანი**.

ცუგრუმელებზე თავდაუზოგავად ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **შორენა ჩომახაშვილი, ნატალია საბაშვილი, ხათუნა მირიანაშვილი, თეა ყარყარაშვილი, მარინა თხელიძე, ლალი მუმლაძე, ნანა პატიაშვილი, მარინე არუთინოვა, ნინო ბუხნიკაშვილი, იზა ღურწკაია, ლალი მაღლაფერიძე, ნათია ნოზაძე-ბერიძე, ნინო აფციაური, მაია ვეშაპური, ცისანა ხუტაშვილი, მალვინა სეფიაშვილი** და **შორენა მესხიშვილი**.

პატარების კვება მაღალ დონეზეა და მრავალფეროვანია. მათ გემრიელ საკვებს უმზადებს მზარეული **ლოლა გურგენიძე** და მისი დამხმარეები: **მზევინარ მოისწრაფიშვილი, მადონა ჯღარკავა** და **ხათუნა დათაშვილი**.

მადლობას იმსახურებს ბაგა-ბაღის ტექნიკური პერსონალი, რომელთაც ბაღში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ესენია **მზია ვარამაშვილი, ლია ჩიბურდანიძე, დალი წითლაური, მზია ხუროშვილი, ხათუნა უცუნაშვილი, გულთამზე შანიძე, ქრისტინე მაჭარაშვილი, მაია სამხარაზე, ვარდო იბრაგიმოვი** და საუკეთესო მუშა **ვაჟა ბასილაშვილი**. ბაგა-ბაღის ერთგული მუშაკები **მორის როსტიაშვილი** და **ელგუჯა ღონღაზე,** საგულდაგულოდ იცავენ დაწესებულებას, ეზოს.

დირექტორის თქმით, **მორის როსტიაშვილი** ძალიან ყურადღებიანი და კეთილშობილი პიროვნებაა, ზამთარში პატარების გათბობაც მას აბარია და შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას.

ბაღში ეტაპობრივად მიმდინარეობს ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის განახლება. ამჟამად, ჯგუფების შიდა რემონტი ტარდება. სამედიცინო ოთახისთვის შეიძინეს საჭირო ავეჯი, სასწორი და საზომი ბავშვებისთვის.

აქ ხშირად იმართება ღია მეცადინეობები, სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებები და შემოქმედებითი საღამოები. ბაღი შეუერთდა **„წიგნის საჯარო კითხვის დღეს“**. ამასთან დაკავშირებით, მოიწვიეს მწერალი **მზია დათიაშვილი-აფციაურისა.** „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით კი შთამბეჭდავი ღონისძიება გაიმართა. წარმატებით ფუნქციონირებს ახალი პროგრამები **„სკოლამდელთა გარემოს დაცვითი განათლება“** და **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**.

წელს 170 აღსაზრდელს დაულოცავენ გზას სკოლისაკენ, რომლებიც მაღალ დონეზე არიან მომზადებულები. პატარები ცნობენ ანბანს, მარცვლავენ სიტყვებს, იციან თვლა, გეომეტრიული ფიგურები და ა.შ.

ბაღმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა სააგენტოს მიერ ორგანიზებულ, გამოფენა-კონკურსში **„პატარა ხელებით“,** სადაც წარმოდგენილი იყო პატარების შექმნილი კომპოზიციები.

მერი ჭარელიშვილი: „აღსანიშნავია მშობელების ჩართულობა ბაგა-ბაღის საქმიანობაში, ისინი მუდამ გვერდში გვიდგანან და დიდი მადლობა მათ. ასევე, უდიდესი მადლობა უნდა გადავუხადო ბაგა-ბაღების სააგენტოს და მის ხელმძღვანელს **თემურ თორდინავას**, რომლის დამსახურებაა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მოწესრიგებული მდგომარეობაა. ასევე, მადლიერება მინდა გამოვხატო თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის და მომარაგების სამმართველო შპს **„ელფის“** მიმართ, რომლებიც ხარისხიანი პროდუქტებით ამარაგებენ ბაღს. ჩვენი ბაღი ყოველთვის იყო მეთოდისტების აღზრდის სკოლა, ჩინებული სპეციალისტების აღმზრდელი. შესანიშნავი კოლექტივი მყავს, ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს. მინდა, ჩვენი ბაღი იყოს გამორჩეული საბავშვო დაწესებულება. ბევრი გეგმა მაქვს და ვეცდები მის განხორციელებას.... ვიღვაწებთ, რომ გავხდეთ თანამედროვე, ევროსტანდარტების შესაბამისი. ვიბრძვით, რომ ავტორიზაცია მოვიპოვოთ.

ფსიქოლოგი ლია ხიდეშელი

აღმზრდელი თამუნა ღაღანიძე

ლოგოპედი ეკა შიხიაშვილი

დირექტორს და აღმზრდელებს მადლობას უხდიან მშობლები: **ლიკა კვეზერელი, თამარ ძულიაშვილი, თამარ კაპანაძე, სოფო რაფავა, სოფო ქიტოშვილი, თამუნა ბანცაძე, ნინო გოზალიშვილი** და სხვები.

სახელოვანი ტრადიციების მქონე ბაგა-ბაღს გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებთ. ასევე, ვუსურვებთ ყველა დიდსა და პატარას ზაფხულის არდადეგების შინაარსიანად, მხიარულად გატარებას!

მზია გოგოძე

კოლექტივი

76-ე ბაგა-ბაღი — მერიისა და სააგენტოს უდმივი თანადგომით

„შვილი რომ ჯობდეს მამასა“

როდის იძლევა ყოველი საქმე კეთილ ნაყოფს? როდის აღწევს მიზანს? თანაც, არა ერთჯერადად, არამედ ყოველდღიურად, რადგან არის საქმე, რასაც ყოველდღიური რუდუნება სჭირდება და, თუ ერთხელ, მეორედ რამე მოაკელი, მერე და მერე მისი გამოსწორება ძნელია, ხანკი სულაც – შეუძლებელი.

სწორედ ასეთი საქმეა მომავალი თაობის აღზრდა. თაობისა, აგერ, ახლა ჩვენს თვალწინ რომ იზრდება და არა ისე, ზოგ-ზოგ ვაიხელმძღვანელს სადღაც ჰორიზონტს მიღმა რომ ჰგონია.

მოაკლებ ბავშვს ყოველდღიურ ყურადღებას, ზრუნვას, ვერ გაუგებ, ვერ იპოვი მისი გულისკენ მიმავალ ერთადერთ ბილიკს და, შეიძლება, სამუდამოდ გაუმრუდდეს ცხოვრება.

მაგრამ ნებისმიერ პედაგოგთა კოლექტივს, რაგინდ მონდომებული, შემართული იყოს, მისი ყოველი წევრი არათუ – თანამდებობრივად, არამედ მოწოდებით იყოს პედაგოგი, სულსა და გულს აქსოვდეს ბავშვებს, თუ მუშაობის სათანადო პირობები არ ექნა, მისი მთელი ძალისხმევის მარგი ქმედების კოეფიციენტი მაინც შესაძლებელზე გაცილებით დაბალი იქნება.

სხვაგან ვერ გეტყვით, მაგრამ ბაგა-ბაღებში რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ზემდგომნი მოთხოვნებზე ძალზე მარდები იყვნენ, ხოლო მუშაობისთვის თუნდაც ელემენტარული პირობების შექმნაზე – დამბლადაცემულნი, ეს მრავალ ბაგა-ბაღში დაგვიდასტურეს.

ამას,სრულიად საფუძვლიანად, სიხარულით ადასტურებენ თბილისის 76-ე ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი და აღსაზრდელთა მშობლები.

ბაგა-ბაღის დირექტორის ქალბატონ **ნატო გაბისიანის**, მისი „დამკვრელური“ გუნდის: მოადგილის – **მაია მაყიშვილის**, მეთოდისტის – **ნინო მექვაბიშვილის**, სამნეო ნაწილის კოორდინატორის – **მანანა გურგენიძის**, ექთნის – **მარიკა ცერცვაძის**, სრულიად პედკოლექტივის ყოველდღიურ რუდუნებას, ინიციატივას, საფუძვლიან მოთხოვნას **ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, მისი დირექტორი, ბატონი თემურ თორდინავა ისეთი გულისყურით ეკიდება, ისე უმალ ჭრის ყოველ პრობლემას, რომ, ქალბატონი ნატოს თქმით, უდიდეს სტიმულს აძლევს მთელ კოლექტივს უფრო მეტის გასაკეთებლად.**

მართლაც დიდებულია, როცა შენს შრომას ხედავენ და აფასებენ – სააგენტომ წლეულს ორჯერ შეამოწმა ბაგა-ბაღი და ორჯერვე დადებითად შეაფასა მისი მუშაობა – და, იმავდროულად, ყოველგვარ პირობას გიქმნიან უკეთესი შრომისთვის, გახალისებენ.

საბოლოოდ კი, ეს ყველაფერი ხომ ქვეყნისთვის პირველმნიშვნელოვანი საქმისთვის – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის კეთდება.

სააგენტოს განუხრელ ზრუნვას 76-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი, დირექტორის თაოსნობით – აღმზრდელებს, მოადგილეს, მეთოდისტს, სხვებსაც გავესაუბრე და ერთხმად ადასტურებდნენ, რაც ქალბატონი ნინოს დირექტორობის სულ რაღაც ორ წელინადში კეთდებოდა და კეთდება, წლების მანძილზეც არ გაკეთებულაო – ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებულ შემოქმედებით, მიზანმიმართულ, თავდადებულ შრომას ახვედრებენ – ზნეკეთილ, ჯანსაღ, მათი ასაკის შესატყვისად ცხოვრებისთვის მაქსიმალურად მომზადებულ თაობას ზრდიან.

სააგენტომ, მანამდელს დაამატა – ბაგა-ბაღს სამზარეულოს ინვენტარი განუახლა. საამისოდ 20 ათას ლარზე მეტი გაიღო, რაც ასევე მერიის დამსახურებაა. ხარისხიანი ინვენტარი, გემრიელ, ყუათიან კერძებს ნიშნავს, თანაც, როცა პროდუქტი ხარისხიანია, ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებზეა გათვლილი. რაზეც ასევე სააგენტომ იზრუნა – კარგად შეარჩია მომწოდებელი – „ელფი“ – საბოლოოდ, ისევ და ისევ, ბავშვების ჯანმრთელობის გარანტია.

ინკლუზიური სწავლებისთვის განკუთვნილი, ყველა საჭირო ლიტერატურით, თვალსაჩინოებით, მასალით მომარაგებული ახალი მეთოდური კაბინეტი, რისთვისაც, მერიის მეშვეობით, სააგენტომ ბაგა-ბაღს 2000 ლარამდე გადაურიცხა, საგრძნობლად აამაღლებს სპეციალური განათლების საჭიროების ბავშვებთან მუშაობის ხარისხს. მითუფრო, რომ მულტიდისციპლინარულმა ჯგუფმა: ლოგოპედმა **ლელა მასხულიამ**, სპეცპედაგოგმა **ანა ბოლქვაძემ**, ფსიქოლოგმა **მარიამ ჩიბუხაშვილმა** ტრეინინგები გაიარეს.

აი, ასე – ზემოდან ზრუნვას, „ქვემოთ“ ინიციატივას, მომზადებას ახვედრებენ! ორივე ერთად კი სწორედ საუკეთესო შედეგს იძლევა.

ქალბატონი ნატო დარწმუნებულია, რომ სააგენტოს ორგანიზებულმა გამოფენა-ფესტივალმა **„პატარა ხელებით“**, სადაც აღსაზრდელთა და აღმზრდელთა ნამუშევრები იყო გამოფენილი, ხოლო შემდეგ მათი გაყიდვა გაიმართა, ყმაწვილების ნიჭიც გამოავლინა და მათი ზნეობრიობაც აამაღლა – გაყიდვიდან შემოსული თანხა **„სოლიდარობის ფონდში“** – ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის გადაირიცხა.

განსაკუთრებულად მოიწონეს 76-ე ბაგა-ბაღის ნამუშევრები. ორიგაში – ეს ქაღალდებით მოზაიკური ტიპის ფიგურების შექმნის ხელოვნებაა. ლამის ცოცხლად შემომყურებდა ცისფერი თვალებით ასე შექმნილი ჰასკის „პორტრეტი“.

მუსიკალურმა ინსტრუმენტმა რომ უზადო ბგერა გამოსცეს, მისი ყოველი სიმი სათანადოდ უნდა იყოს აწყობილი, ბაგა-ბაღმაც რომ ხარისხიანად იმუშაოს, მისი ყოველი მუშაკი სათანადო ადგილზე სათანადოდ უნდა იღვწოდეს. სწორედ ასეა 76-ე ბაგა-ბაღში, ასე იღვწიან აღმზრდელები: **ნანული ჯავაშვილი, ლია ფუხაშვილი, მანანა გაბელია, მანანა ნანობაშვილი, ეკატერინე ბარბაქაძე, ლალი მღებრიშვილი, მარიამ მიქაძე, ნაზი ტაბლიაშვილი, ნათია ჩიტიშვილი, ნინო არსოშვილი, ესმა სინჯიკაშვილი, მაია კვერნაძე, ნატო გურგენიძე, ნანა გიუნაშვილი, მანანა გაგუა, თამარ ლეგაშვილი, ფატი მურღულია, ზინაიდა ბურდული, თამარ სიდონაშვილი, თეონა ბურდული;** მათი თანაშემწეები: **ნელი მაქაძე, ნათია ციხელაშვილი, მაია მათიაშვილი, მარიჯან მუმლაძე, მარინე ბეჟანიშილი, ირმა გიუნაშვილი, დარეჯან გაბრიელაშვილი, ზოია მეხაშიშვილი, ციცინო შარვაძე, ნინო კოტორაშვილი, მზია რევაზიშვილი, მაია გოგოლაძე, ლალი ქართველიშვილი, ვერა სინჯიკაშვილი;** ცეკვის მასწავლებლები: **ირმა ახვლედიანი და თეა გორელიშვილი;** საქმისმწარმოებლის თანაშემწე **თინათინ ივანიშვილი;** დამლაგებელი **თამარ ზურაბაშვილი;** მრეცხავები: **ოლია განთაძე, ნონა ეპიტაშვილი, მანანა ბუთურიშვილი, იზოლდა დიაკონიძე, დარიკო ჟიჟიაშვილი, ანა ვეკუა, ჟუჟუნა ტერტეროვი;** დარაჯები: **როსტომ საათაშვილი და რომან ხარაბაძე;** მუშა **ვასილ თეთრაძე;** მებაღე **ირმა ჩიხრაძე;** მზარეული **მარგალიტა სხილაძე;** მისი თანაშემწეები: **ლალი ქართველიშვილი, მზია გელაშვილი** და **თამარ აბაშიშვილი.**

მერია, ბაგა-ბაღების სააგენტო, როგორც ითქვა, ამას ხედავენ და აფასებენ: ბაგა-ბაღს ოფიციალური წერილით ეცნობა, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის ინფრასტრუქტურასა და კანალიზაციას მოუწესრიგებენ, რაც პედკოლექტივს კიდევ უფრო უკეთესი მუშაობის პირობებს შეუქმნის.

***

ახალ მეთოდკაბინეტში ჩვენი ქვეყნის ბრინჯით დამზადებული რუკით ვტკბებოდი. საქართველოს ყოველი კუთხე სხვადასხვა ფერის ბრინჯით იყო გამოკვეთილი.

სწორედ ამ ქვეყნისთვის ზრდის 76-ე ბაგა-ბაღის პედკოლექტივი, მერიისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ყოველმხრივი ხელშეწყობით ისეთ პატარებს, ვიზეც თქმულა: „ის უხარია მამულსა, შვილი რომ ჯობდეს მამასა“.

კოტე სარალიძე

215-ე ბაგა-ბაღი — ევროპული სტანდარტების მხარდამხარ

ცვლილებების მყუდრო სავანე, სულტანშახმეთ ნახვამდის!

– **შენს მოსვლას** კედლებიც ღიმილით ელიან – ასეთი წარწერა ამშვენებს 215-ე ბაგა-ბაღის ფოიეს. აქ პატარებს მართლაც განსაკუთრებული სიხარულით და სიყვარულით ელიან. შესვლისთანავე მოიხიბლებით არაჩვეულებრივი წესრიგით, სისუფთავით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით, მყუდრო გარემოთი. ოთახები და დერეფნები გაფორმებულია კოხტა თვალსაჩინოებებით, ყვავილებით და აპლიკაციებით. ბაღის ეზო და შენობის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება სასწავლო აღმზრდელობით სტანდარტებს და ადაპტირებულია სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაზე. ბაღს ამშვენებს მწვანე ნარგავები და თანამედროვე ატრაქციონები.

215-ე საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ამერიკელი და ქართველი ხალხის პარტნიორობის ნიშნად. კონკრეტულად, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ევროპული სარდლობისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის და აშშ ინჟინერთა კორპუსის ევროპის რეგიონის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად.

215-ე ბაგა-ბაღის დირექტორი გახლავთ, გამოცდილი ხელმძღვანელი და ღვაწლმოსილი პედაგოგი **რუსუდან ცხვარაძე-ბირკაია**. იგი ოცდათხუთმეტი წელიწადია საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობს და დიდი დამსახურება მიუძღვის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში. ქალბატონი რუსუდანი სპეციალობით ისტორიისა და დაწყებითი განათლების მასწავლებელია და არის მრავალი თაობის აღმზრდელი. პედაგოგიური საქმიანობისას ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი მენეჯერული თვისებებით და რამდენიმე წელიწადი 37-ე საჯარო სკოლის დირექტორი იყო.

ბაღში მოსვლის დღიდან, ქალბატონი რუსუდანი ცდილობს პატარებს შემოქმედებითი უნარები განუვითაროს და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უფრო დატვირთული იყოს. მას მხარში უდგას მთელი კოლექტივი და ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ პატარებისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

რუსუდან ცხვარაძე-ბირკაია: მადლობას ვუხდით ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს ბატონ **თემურ თორდინავას**, რადგან მისი თანადგომით ბაღში ბევრი რამ განახლდა და შეიცვალა, აღმზრდელობითი პროცესი კი, წარმატებით მიმდინარეობს. დაისახა რა მიზნად ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ საერთაშორისო დონის საბავშვო ბაღების ჩამოყალიბება, სულ უფროდაუფრო იზრდება თითოეული აღმზრდელის, სპეციპედაგოგის, ფსიქოლოგის და ლოგოპედის გადამზადების პროცესი.

ჩვენი ბაღი გამოირჩევა სიმყუდროვით და კომფორტით. მშობლები და ბავშვები კმაყოფილები არიან. ვმუშაობთ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის მიხედვით. გამოსაშვებ ჯგუფში წარმატებით განხორციელდა **„სასკოლო მზაობის პროგრამა“.** გვყავს პედაგოგთა შესანიშნავი გუნდი, რომლებიც მშვენივრად უძღვებიან დაკისრებულ მოვალეობას. ბაგა-ბაღი მუდმივად უზრუნველყოფილია სამუშაო მასალით, ლიტერატურით და სათამაშოებით. გვაქვს კეთილმოწყობილი ეზო, რომელიც აღჭურვილია სათამაშო დანადგარებით. თითოეულ ჯგუფში არის შესაბამისი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. პროგრამის მიხედვით კი, მეთოდოლოგიად გამოყენებულია **თემატური სწავლება** – როგორც ერთ-ერთი, ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი. უნდა ითქვას, რომ ბაღებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში თავმოყრილი აქტივობები: **წიგნიერება, მეტყველება, ხელოვნება, სამაგიდო აქტივობები, მუსიკა და მოძრაობა, მეცნიერება, სენსორული აქტივობები და კულინარია, კონსტრუქციული აქტივობები და დრამატული აქტივობები.** ჩვენთან ყოველდღიურად ხორციელდება შესაბამისი აქტივობები და შექმნილია ვიდეომასალა, სადაც ასახულია პატარების მუშაობა. გვყავს 20-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელი, რომელთათვის ადაპტირებული გარემოა შექმნილი. 215-ე ბაღში, მშობელთა მოთხოვნით, ყოველწლიურად ფუნქციონირებს საზაფხულო ბაღი. დღითი-დღე იზრდება მისაღები ბავშვების მსურველთა რაოდენობა.

აღსაზრდელებისთვის ტრადიციულად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და სეზონური ზეიმები (**საშემოდგომო, დედის დღე, თბილისობა** და ა.შ.) ასევე, ჯგუფებში იმართება საანგარიშო და შემაჯამებელი ღონისძიებები. ამჟამად, გამოსაშვებ ჯგუფებში პატარები ზეიმისთვის ემზადებიან.

თავიანთ მოვალეობას ღირსეულად ასრულებენ: დირექტორის მოადგილე **ლელა გიორგაძე**, საგანმანთლებლო პროგრამების კორდინატორი **ნანული როსტიაშვილი**, ფსიქოლოგი **ნინო ნადირაშვილი**, ლოგოპედი **ლალი ბილანიშვილი** და სპეცპედაგოგები **თამუნა მახათაძე** და **ირმა მდინარაძე**.

დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების საქმიანობას. ესენია: **ლალი სალთხუციშვილი, მზია ნუცუბიძე, ნონა შუღლიაშვილი, მაია ძამაშვილი, ნინო ქავთარაძე, თეა სარიშვილი, მაია მიგრიაული, ნინო ყანადაშვილი, ფიქრია ჯანელიძე, მარინე ასლამაზოვი, ნანი ბოლაშვილი** და **ტასო ჭიკაიძე.**

პატარებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **თამუნა მეხრიშვილი, მერი ქობულაშვილი, თეონა წურწუმია, გაიანე მარტიროსიანი, სოფია ბანძავა, თეონა ხელაია, ნინო საღინაძე, თამრი კოტვილდიანი, ნინო ჯანელიძე-შაფათავა, ქეთევან მელქაძე, ქრისტინე ჯავახიშვილი** და **თეა ლემონჯავა.**

შემოქმედებით პროცესს შესანიშნავად უძღვებიან მუსიკის პედაგოგები: **თამარ აბაშიძე** და **ლიანა ლალიაშვილი**. პატარებს ცეკვის გაკვეთილებს უტარებს და ქართულ ხელოვნებას აყვარებს **ნატალი ზარდიაშვილი**.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოფენაში **„ჩვენი პატარა ხელებით“.** მოეწყო ცეროდენების მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, რითაც საკუთარი წვლილი შეიტანეს სოლიდარობის ფონდში.

კიდევ ცოტა და, დაიწყება დიდი, შთამბეჭდავი არდადეგები. მის შინაარსიანად და მხიარულად გატარებას გისურვებთ 215-ე ბაგა-ბაღელებო!

მზია გოგოძე

ბავშვთა საერთაშორისო დღე

„ნაყინის ფესტივალმა" ცეროდენებში გაახარა

ბავშვთა დაცვის დღე განსაკუთრებულად აღინიშნა თბილისის 36-ე ბაგა-ბაღში, სადაც **„ნაყინის ფესტივალი"** გაიმართა და ცუგრუმელებიც დაასაჩუქრეს. საზეიმო განწყობა კიდევ უფრო გაალამაზა მოწვეულმა **დიჯეიმ** და ზღაპრის გმირებმა. ბაღის ეზო გაფორმებული იყო

სხვადასხვა ფერის ბუშტებით, ყვავილებითა და დროშებით. ისმოდა სასიამოვნო მუსიკა და ბავშვების ჟრიამული.

მარინე მაჭარაშვილი – 36-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: ჩვენს აღსაზრდელებს ნამდვილი დღესასწაული მოვუწყვეთ, პატარები გაერთნენ და ბევრი იმხიარულეს. ღონისძიების ბოლოს

კი, კომპანია **„პინგომ"** ბავშვებს ნაყინები დაურიგა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით. ჩვენი ბაღი ასევე, მონაწილეობდა ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ, ბავშვთა შემოქმედების გამოფენა – ფესტივალში **„პატარა ხელებით"**. 3 ივნისს, განახლებულ აღმაშენებელზე გაიმართა საბავშვო ბაღების აღსაზრდელების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიება საქველმოქმედოა და შემოსული თანხა სოლიდარობის ფონდში გადაირიცხა.

ბაგა-ბაღში ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას დიდ ყურადღებას აქცევენ. აქ ხშირად იმართება სპორტული თამაშები. 10 ივნისს გაიმართა **„მხიარული სტარტები"**, სადაც 36-ე ბაღის აღსაზრდელები შეეჯიბრნენ საბურთალოს ბაღის პატარებს. საბოლოოდ კი **მეგობრობამ** გაიმარჯვა.

36-ე ბაგა-ბაღი შეიძლება ითქვას, რომ ინტერნაციონალურია, რადგან აქ სხვადასხვა ეროვნების 35 ბავშვია: ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები... თუმცა, ენობრივი ბარიერი არ არსებობს. ყველა კარგად ფლობს ქართულს და ერთმანეთთან ძალიან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ. ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პროგრამაში"** და წელს 105 აღსაზრდელს გააცილებენ სკოლაში. პროფესიონალი აღმზრდელების წყალობით, ბავშვები ფსიქოლოგიურად უკვე მზად არიან სკოლისთვის. ჩინებულად მეტყველებენ, იციან ლექსები, ცნობენ ასოებს და მშვენივრად ხატავენ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებმა კი, სპეციალური პროგრამა წარმატებით გაიარეს.

ამ საბავშვო დაწესებულებაში ყველაფერი ძალიან ლამაზი, თვალშისაცემი და მშვენიერია. გარეგნული იერ-სახის გარდა, თბილისის 36-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, გამოირჩევა სანიმუშო აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით და პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. შემოქმედებითად დატვირთულია წლევანდელი წელი. აქ იმართება სასწავლო ხასიათის გასართობი ღონისძიებები, ღია გაკვეთილები, სხვადასხვა აქტივობები და ზეიმები. პატარებს თამაშ-თამაშით ამეცადინებენ და დღის ბოლოს აჯამებენ გაწეულ საქმიანობას. დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას, ამასთან დაკავშირებით, გაიმართა აქცია **„გავუფრთხილდეთ დედამიწას"**, სადაც უფროსებთან ერთად პატარებიც ჩაერთნენ. დარგეს ხეები, ყვავილები და სხვადასხვა ბოსტნეული. ბავშვებს უხარიათ, რომ ხორბლის მოსავალი უკვე მზად არის.

დირექტორის ინიციატივით ბაღში, არაერთი სიახლე განხორციელდა, განახლდა ინფრასტრუქტურა და შეიცვალა ინვენტარი. რაც მთავარია, ბაგა-ბაღში ისეთი კარგი პირობებია, რომ აქეთკენ მოუხარიათ ცეროდენებს. ბაღი დიდ თანადგომას გრძნობს საბაგენტოს მხრიდან და ამისთვის მადლობას უხდიან მის ხელმძღვანელს **თემურ თორდინავას**.

როგორც დირექტორმა გვითხრა ამჟამად, გამოსაშვები ჯგუფი ღონისძიებისთვის ემზადება, რომლის მთავარი თემა – **საქართველოა**, სადაც ყურადღება გამახვილდება **სწორ მეტყველებაზე**. ზეიმზე პატარები შეასრულებენ ქართულ ცეკვებს და წაიკითხავენ პატრიოტულ ლექსებს.

წარმატებას ვუსურვებთ 36-ე ბაგა-ბაღს და მის აღსაზრდელებს. მალე დიდი, მხიარული არდადეგები დაიწყება. მის ბედნიერად გატარებას გისურვებთ, 36-ე ბაგა-ბაღელებო!

მზია გოგოძე

ევროსტანდარტების მხარდამხარ

თქვენი კარიერა ჩვენი აუდიტორიებიდან იწყება

აკრედიტებული საერთაშორისო ეკონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, ასევე, ეკონომიკურ ჰუმანიტარული და საინჟინრო კოლეჯი გელით ყველას, ვისაც გსურთ, მიიღოთ ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული განათლება!

ძვირფასო აბიტურიენტებო!

თქვენი არჩევანი განსაზღვრავს თქვენს წარმატებულ მომავალს, ამიტომ გირჩევთ უკეთ გაეცნოთ საერთაშორისო ეკონომიკურ და ჰუმანიტრული უნივერსიტეტისა და კოლეჯის საქმიანობას, აქ მომუშავე პროფესიონალთა გუნდსა და იმ მიმართულებებს, რომლებიც პრიორიტეტულად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, გაზეთ „სახალხო განათლება+“ის ფურცლებზე განთავსებული ინფორმაცია სასარგებლო გზამკვლევობას გაგიწევთ და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ.

საერთაშორისო ეკონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტი და კოლეჯი გამოირჩევა სწავლების მაღალი დონით, კვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ევროსტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებითა და ძლიერი მატერიალურ ტექნიკური ბაზით. გარდა ამისა, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა ცოდნის გამდიდრებისა და დასაქმების რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

უნივერსიტეტისა და კოლეჯის მიზანია იმგვარი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც არჩეული პროგრამების წარმატებით დასრულების შემდეგ, აღჭურვილი იქნებიან არამარტო ამ სპეციალობის, არამედ, მასთან დაკავშირებული და აგრეთვე ფუნდამენტური დისციპლინების საფუძვლიანი ცოდნით, ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარ ჩვევებით, რომლებსაც შესწევს ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი, შეუძლია განსაზღვროს პრიორიტეტები, სამოქმედო სტრატეგია და დასახოს მისი განხორციელების გზები. გამოიყენოს უნივერსიტეტში და კოლეჯში მიღებული პრაქტიკული, თეორიული ცოდნა, გამოცდილება, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი განათლება, რაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას, როგორც ადგილობრივ ისე მსოფლიო ბაზარზე.

IV დონის აკრედიტაციის მქონე საეთაშორისო ეკონონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტი და აკრედიტებული კოლეჯი საშუალებას აძლევს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, ისწავლონ ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღონ, როგორც უკრაინის სახელმწიფო ისე, საერთაშორისო დიპლომი, რომელიც მიღებულია ბოლონიის პროცესის ფარგლებში. რაც პრაქტიკულად ნიშნავს სტუდენტთა თავისუფალ გადაადგილებას სწავლის გაგრძელების თუ დასაქმების თვალსაზრისით საქართველოსა და ევროპაში.

უნივერსიტეტისა და კოლეჯის კონტრაქტორი მხარე საქართველოში „ევროპული განათლების აკადემიასა“ და „საერთაშორისო განათლებისა და მეცნიერების აკადემიას“ ემსახურება მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ეროვნული ცნობიერების და ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ფართო კომპეტენციის მქონე ახალი გენერაციის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც გააზრებული აქვთ ქართული და გლობალური კულტურული ღირებულებები.

„ევროპული განათლების აკადემიას“ აქვს პრეტენზია რეგიონში იწოდებოდეს ლიდერად, ინოვაციური ტექნოლოგიების დამნერგავ საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც ორიენტირებულია პიროვნებაზე, ვინც მომავლის ლიდერებად გვევლინებიან მუდმივად ცვალებად სამყაროში.

აკრედიტებულ უნივერსიტეტსა და კოლეჯში აბიტურიენტების მიღება ხდება მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე... ამით ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ აბიტურიენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად დარჩნენ უმაღლესი სასწავლებლების მიღმა ჩაირიცხონ ჩვენს უნივერსიტეტსა და კოლეჯში, რომ მიიღონ უმაღლესი განათლება.

IVდონის აკრედიტაციის მქონე საერთაშორისო ეკონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტი 2017-2018 სასწავლო წელს აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე

- ❖ ფინანსები, კრედიტები და საბანკო საქმე;
- ❖ მენეჯმენტი;
- ❖ მარკეტინგი;
- ❖ აღრიცხვა და აუდიტი;
- ❖ საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება;
- ❖ ტურიზმი;
- ❖ სამართალმცოდნეობა;
- ❖ ფიზიკური რეაბილიტაცია;
- ❖ სპორტი;
- ❖ პროგრამული ინჟინერია;
- ❖ კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ❖ ფსიქოლოგია;
- ❖ ჟურნალისტიკა;
- ❖ ინგლისური ენა;
- ❖ გერმანული ენა;
- ❖ ბიოლოგია;
- ❖ გეოგრაფია;
- ❖ სკოლამდელი აღზრდა;
- ❖ დაწყებითი განათლება;
- ❖ ისტორია.

სამაგისტრო პროგრამებზე

- ❖ ფინანსები, კრედიტები და საბანკო საქმე;
- ❖ მენეჯმენტი;
- ❖ საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება;
- ❖ ტურიზმი;
- ❖ ფსიქოლოგია;
- ❖ სამართალმცოდნეობა;
- ❖ ჟურნალისტიკა;
- ❖ კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ❖ ფიზიკური რეაბილიტაცია;
- ❖ სპორტი;

- ❖ გეოგრაფია.

როვნოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული და საინჟინრო კოლეჯი (РЕГИК) აცხადებს მიღებას 2017-2018 სასწავლო წელს

ა). აბიტურიენტებისათვის საბაზო ზოგადი განათლებით (9 კლასის ბაზაზე)

ბ). აბიტურიენტებისათვის სრული საშუალო განათლებით (12კლასის კურსდამთავრებული, სკოლის, ლიცეუმის, გიმნაზიის)

- ❖ სკოლამდელი აღზრდა;
- ❖ დაწყებითი განათლება;
- ❖ ფიზიკური კულტურა და სპორტი;
- ❖ სამართალმცოდნეობა;
- ❖ ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
- ❖ კომპიუტერული ინჟინერია;
- ❖ პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია;
- ❖ სოციალური მუშაობა;
- ❖ ფიზიკური რეაბილიტაცია.

აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან საერთაშორისო ეკონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მესამე კურსზე, მონათესავე სპეციალობის პირობით. სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში მეორე კურსზე!

იჩქარეთ, რეგისტრაცია დაიწყო! ადგილები შეზღუდულია!

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ; ქ. თბილისი, მეტრო ახმეტელი (მუხიანის დასახლება), რამაზ შენგელიას № 7. ტელ: +995 592 92 55 92; www.eeacademy.ge, ან შემოგვიერთდით facebook-ზე „ევროპული განათლების აკადემია“.

ასევე, მინდა შეგახსენოთ, 2017 2018 სასწავლო წლისათვის აკადემიამ გახსნა კონტრაქტორი უნივერსიტეტისა და კოლეჯის წარმომადგენლობა რეგიონებში:

ამბროლაური შარაბიძის ქუჩა № 1. ტელ: 558 409 897; 597 013 197.

ბათუმი შავშეთის ქუჩა № 29, ტელ: 574 520 575

თუ იზიარებთ უნივერსიტეტისა და კოლეჯის მისიას, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დიდ ოჯახში!

რუბრიკას უძღვებოდა ევროპული განათლების აკადემიის დირექტორი, საერთაშორისო ეკონომკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში პროფესორი,

სერგო ჭიჭაღუა

იუმორის კუთხე

მოსე მწერლის წკიპურტები

ჩვენსგაზეთში კარგა ხანია აქტიურად თანამშრომლობს ამ საუკუნის მოსე მწერალი, რომელიც შესანიშნავად ერკვევა განათლების პრობლემებში. მის მახვილ თვალს არ გამოეპარება ამ სფეროს საჩოთირო მოვლენები და მანკიერებანი. ჰოდა, მოხდენილი ჟურნალისტური წერილებით ცდილობს მის აღმოფხვრას. ეს ნაწერები არც გროტესკია და არც სატირა, მხოლოდ უწყინარი წკიპურტებია ისეთი, როგორიც იყო კლდიაშვილის იუმორი და მხოლოდ მორალურ-დამრიგებლობით მიზანს ისახავს. მოსე მწერლის ეს მინიწერილები მიმოფანტულია დროით დაცილებულ ნომრებში გაზეთისა. მკითხველს ზოგი ახსოვს, ზოგი – არა, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და მნიშვნელობა. ამიტომ ამოვკრიფეთ რამდენიმე მათგანი იმ მიზნით, რომ მოსე მწერალმა კვლავ შეახსენოს თავი მკითხველს.

***

ნაირსახეობა მლიქვნელობისა

მლიქვნელობა პიროვნების ღირსების შემლახავია. მისი მოტივაცია შიშისა და რაიმეს გამორჩენის სინდრომია. შიში კი **შაშკინმა** შეჰყარა სკოლის დირექტორებს, ჟურნალისტი არ გაიკაროთ, თორემ თავი მხრებზე არ შეგრჩებათო. ამის გამო მაშინ და დღესაც ძალაშია გამოთქმა: დირექტორთან სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.

მაინც შევაღწიე დირექტორის მისაღებში. საქმეთამმართველმა მოახსენა დირექტორს, დამსახურებულ ჟურნალისტ მოსე მწერალს თქვენი ნახვა უნდაო. დამელოდოს, დაკავებული ვარ, საპატიო სტუმარი მყავსო. ჟღრუტუტულებენ და ჟღრუტუტულებენ. რის სტუმარი, სტუმარი, ამ სკოლის პედაგოგი არ ყოფილა?

ზარმა დაიწკარუნა. დაფეთებული შევარდა საქმისმწარმოებელი და ასევე დაფეთებული გამოვარდა: არიქა, სამინისტროდან დიდი კაცი მოდისო. ყველა აფორიაქდა. ვაი, მოსესა! ვის ახსოვს მოსე ჟურნალისტი? დღეს ვერ მიგიღებთო, შემომითვალეს. სხვა რა გზა იყო? ავდექი და წავედი.

ვინ არის ის **„დიდი კაცი?“** არ მასვენებდა ფიქრი და მალე დავაზუსტე: სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა და შვილს შემოუარა. ეს **„დიდი კაცი“** თურმე განათლების სამინისტროში რომელიღაც **საწყობის მუშა** ყოფილა.

მედასავლეთე ქართველების აფორიზმები

რუსთაველის ხმაზე: „ამერიკული დოლარი მირჩევნია სულსა გულსა“. „სჯობს დოლარისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. „ხამს დოლარი, ევრო ჩემთვის, ამერიკა – გზად და ხიდად“.

ბარათაშვილის ხმაზე: „ჯანი გავარდეს აწ ენას, მამულს, ოღონდ ვაამო ჩემს საკუთარ გულს!“ „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?“

ერისთავის ხმაზე: „მე მირჩევნია მამულსა, ინგლისი დოლარიანი“.

პედაგოგთა ქომაგი

მოსე მწერალი

176-ე ბაგა-ბაღი სრულ მზადყოფნაში დახვდება პატარებს

აქ ყოველმხრივ ჯანსაღ თაოსებას ზრდიან

დამარმარებული ბოსტანი, ყანა... მოწეული მწვანილეული, სიმინდი, ლობიო... გამოცანა გერგებათ – რა წარმოგიდგათ? ვერ გამოიცანით? და რაგინდ მდიდარი წარმოსახვის უნარი გქონდეთ, ვერ გამოიცნობთ, რადგან ბოსტანიცა და ყანაც ბაგა-ბაღშია. სახელდობრ, თბილისის 176-ე ბაგა-ბაღში.

ცხადია, ნაკვეთების დამუშავების „ლომის წილი“ მუშა **გიორგი მაისურაძესა** და პედაგოგებზე მოდის, მაგრამ პატარა ხელებით დაფხვნილი თითოეული გოროხი, ჩაგდებული თესლი, მოტეხილი ტარო უდიდესი მადლის შემცველია: გოგო-ბიჭებს, მშობლიური მიწის ძახილს აჩვევს, მის მოფრთხილებას ასწავლის. აგებინებს, რაოდენი შრომის ფასად იძლევა მიწა ხვავსა და ბარაქას, საოცრად ტევადი სიტყვა – ჭირნახული რომ უწოდა ქართველმა და ეს მადლი მთელი სიცოცხლე გაჰყვებათ პატარებს. აგერ, არდადეგებიც უწევთ და, დახეთ, როგორი „მეურნე“ შვილიშვილები ჩაუვლენ სოფლად პაპა-ბებოებს!

საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **მარინე მეტრეველის** თქმით, ბაგა-ბაღის გახსნიდან – 1985 წლიდან რომ მუშაობს აქ, ყველა სივრცეების: ხელოვნების, მუსიკისა და მოძრაობის, სამაგიდოს, წიგნიერების, დრამატულის, სენსორულის, მეცნიერების, კონსტრუქციების, დილისა და საღამოს წრეების აქტივობები ისე თამაშ-თამაშ, ხალისიანად წარიმართება, რომ ყმაწვილები ძალისხმევის გარეშე, ლაღად ითვისებენ მათ და გონებაშიც მყარად უჯდებათ. ეს იმის მტკიცე საწინდარია, რომ ბავშვები სათანადოდ მომზადებულნი მივლენ სკოლაში.

წლეულს ბაგა-ბაღს ასეთი 35 „წვევამდელი“ ჰყავს. ამ ჯგუფის აღმზრდელი **მანანა გოგოხია** დარწმუნებულია, რომ ისინი ბეჯითი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით ასახელებენ აღმზრდელ ბაგა-ბაღს. ამის მტკიცე საფუძველი მართლაც ჩაყრილია: ჯგუფებში სათანადო გარემოება იქმნება. ვთქვათ, ექიმის კაბინეტი, დრამატული სცენები, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ვინ წერს წიგნებს, სენსორული სივრცეები – ქვიშა, წყალი, ლოტო, მოზაიკები...

უშუალოდ განცდილი და შეგრძნებული ცხოვლად აჩნდება პატარების სულს; წარმოსახვას უმდიდრებს, სწორად აზროვნებას, ალღოიანობას უვითარებს, მოულოდნელ ვითარებაში სწრაფად ორიენტირებას აჩვევს, რაც ასე წაადგებათ ცხოვრებაში.

ამას დაურთეთ ექსკურსიები მედიათეკაში, ზოოპარკში, ბოტანიკურ ბაღში, ბაკურიანში, კონკურსები **„ჩვენი პატარა ხელები“**, სპორტული შეჯიბრებები, ვიქტორინები და ცხადი შეიქნება, როგორ ზრუნავენ ბაგა-ბაღში პატარების მრავალმხრივად განსავითარებლად.

სწორედ საამისოდ არიან მოწოდებულნი აღმზრდელები: **ლიანა აკობია, ეკატერინე გიგაშვილი, ნინელი ჯღარკავა, მაია ცხადაძე, თეა ათანელიშვილი, ქეთევან ნაცვლიშვილი, შორენა ნიკოლაძე, ლელა ცუცხუბაია, ნათია მამუჩარაშვილი, თეა ყაზარაშვილი, მადონა დირმელაშვილი, ნინო ბერიაშვილი, ხათუნა ავალიანი, ირინე მაჭარაშვილი, მარინე ბახურაული, ცინარა ჩაჩიბაია, სალომე ალადაშვილი, მაია ბერძენიშვილი, ეკატერინე დუმბაძე, მადონა ნათათრალაშვილი, მარი ციყელაშვილი;** მათი თანაშემწეები: **ეკა ალადაშვილი, მარიამ ნოზაძე, ნანა რატიანი, ლიანა ჩიკვაიძე, ცირა გოდერძიშვილი, მარო ლაზიაშვილი, ნინო კოდიაშვილი, ნინო აბულაძე, ჯულიეტა ტადევოსიანი, ლეილა გიორგაძე, სალომე კვირიკაშვილი, მარინე კობახიძე, ხათუნა კირვალიძე.**

ინკლუზიური სწავლების ბავშვებთან, დირექციასთან, მშობლებთან შეთანხმებით, აღმზრდელებთან, მეთოდისტთან ერთად ინდივიდუალურად მუშაობენ ფსიქოლოგი **მარინე კაპანაძე,** ლოგოპედი **ნათელა ბეწუაშვილი**, სპეცპედაგოგი **მარეხ ხუროშვილი**. ყმაწვილების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორები: **მარინე სოფრომაძე** და **ნაილი კუბლაშვილი;** მათთან ერთად, ჰიგიენურ გარემოს ქმნიან, აღსაზრდელებს სისუფთავეში ამყოფებენ მრეცხავები: **ციალა თედიაშვილი, იზოლდა მაჭავარიანი, ეთერ იაკობაშვილი, მაგული ნატრაძე, ირმა ცხოიძე**; დამლაგებლები: **თეონა ბურჭულაძე, ლია გახოკიძე, ნელი დორეული, სვეტლანა ლაგუტია, ვასილ ნიკოლაშვილი, ზაირა ტარტარაშვილი,**

ნინო ქიტოშვილი. ყმაწვილების უსაფრთხოებაზე ზრუნავენ დარაჯები: **გრიშა** და **შმაგი ჭკადუები.** ყუათიან, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კერძებს უმზადებენ აღსაზრდელებს მზარეული **მარინე ჯინჭარაძე** და მისი დამხმარეები: **ეკატერინე ტეფნაძე** და **ლეილა ნავროზაშვილი**; ყველა საბუთი წესრიგში აქვს საქმისმწარმოებელ **ქეთევან მსხვილაძეს**; ყოველივე საჭიროს დროულად და ხარისხიანად ამარაგებს ბაგა-ბაღს სამნეო ნაწილის კოორდინატორი **ინგა ხარატიშვილი**; მუსიკის და ცეკვის პედაგოგები: **თამარ ჭილაძე** და **მაგდა ბენიძე** ყმაწვილებისთვის სასარგებლო და სახალისო რეპერტუარებს არჩევენ.

კოლექტივის მუშაობას უნარიან კოორდინაციას უწევს, დირექტორთან შეთანხმებით, უშუალოდ ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე **ლია ბაქრაძე**.

ბაგა-ბაღს სათავეში გამოცდილი აღმზრდელი და პედაგოგი ქალბატონი **ირინე გოგსაძე** უდგას. მან 18 წლისამ დაიწყო მასწავლებლობა – თან მაშინდელ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტში სწავლობდა დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე, თან კი აღმზრდელ – თბილისის 124-ე სკოლაში მუშაობდა დაწყებითი კლასების პედაგოგად. დაამთავრა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, კომუნიკაციის ფსიქოლოგის სპეციალობით.

შემდეგ – სამგორის რაიონის გამგეობა, ისევ – სკოლა და 2007 წლიდან 176-ე ბაგა-ბაღის დირექტორია. გულისტკივილით ამბობს, არც ერთ ბაგა-ბაღში არ იღებდნენ ჩემს ვაჟიშვილს და ბაგა-ბაღის დირექტორობის ერთი ძირითადი მიზეზიცა და მიზანიც ისაა, რომ ასეთი შვილების პატრონი დედები ჩემსავით არ გაწვალდნენო.

ქალბატონ ირინეს შემართება და გამოცდილება, ხელმძღვანელის ნიჭი ნათლად აისახება ბაგა-ბაღის მუშაობაზე.

მალე არდადეგები დაიწყება. სექტემბერში კი ყმაწვილები დაბრუნდებიან და, გვჯერა, 176-ე ბაგა-ბაღი, ჩვეულებისამებრ, ყოველმხრივ მომზადებული დახვდება აღსაზრდელებს.

კოტე ოდიშელიძე

ნაირა ნიქარაძის ლექსები

მიწის გამყიდველებთან!

ქართველი ხარ და
შენს მამულს ჰყიდი?
კაცი ყოფილხარ
უზნეო, ფლიდი.

დაგინგრევია
მშვიდობის ხიდი,
არა გაქვს არვის
ხათრი და რიდი.

რა გითესია,
ანდა რას მკიდი?
ფუი, შენს ნამუსს,
სამშობლოს ჰყიდი?!

ბუნება

ცვალებადია ბუნება,
არ მსურს სიმწარე ვიგემო,
მინდა ვუმზირო მაღალ მთებს
და სიცოცხლეზე ვიმღერო.

შემოვუფრინო იალბუზს,
და შხარას – მაღალს წამიერ,
და თავისუფალ სამშობლოს,
ვუმღერო მრავალჟამიერ!..

ჩემი სოფელია

აქ იმედის მაცნე, ნაზი ფერი მწვანე,
მინას მოჰფენია,
აგერ ჩინარებში, ვით პირსავსე მთვარე,
ჩემი სოფელია.

დაკლაკნილი ტანით, სუროები გარეთ,
თუთებს აჰყოლია,
ჯერ ასეთი ფიქრი, საოცნებო მხარევ,
არა, არ მქონია.

ეს ნახატი მთები, ჯეჯილი და ალვა,
ჩემად შემიცვნია,
მიწის სიყვარული, მე ჯერ ასე მძლავრად,
არა, არ მქონია.

აქ იმედის მაცნე, მწვანე ფერი ნაზი,
მინდვრებს მოჰფენია,
ჩაქარგული ნაზად, დახატული ვაზით,
ჩემი სოფელია!

ვინც მირჩია

დიდხანს ვუმზერდი ღამეში,
ღრუბლებში მთვარის გაჩენას,
მიწამ რამდენი სიკეთე,
დიდი სიმდიდრე მაჩვენა.

არ დავიშურე აღდგომა,
და არც დამღლია მარჯვენა,
ღმერთმა ამყოფოს ჯანმრთელად,
ვინც აქ მირჩია დარჩენა.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 13 (4552)
14 ივნისი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009